საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს

სხდომის ოქმი N29

ქ.თბილისი 13.12.2014

სხდომას ესწრებოდნენ:

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წევრები:

გიორგი კამკამიძე - შპს ნეოლაბის დირექტორი, სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, საბჭოს თავმჯდომარე, (შემდგომში-თავმჯდომარე);
მაია მიქაშავიძე - ა(ა)იპ - მართვის აკადემიის დამფუძნებელი პარტნიორი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
ნინო დავლაშერიძე - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტთა უფლებების ლიგის წევრი, საბჭოს მდივანი, (შემდგომში-მდივანი);
თამარ ბრეგვაძე - ა(ა)იპ - კავშირი განათლების პოლიტიკის , მართვის და დაგეგმვის საერთაშორისო ინსტიტუტის (EPPM) მთავარი მკვლევარი;
ნიკოლოზ ალექსიძე - შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის მართვისა და საზოგადოებრივ მეცნიერებათა სკოლის დეკანი;
თამარ ზარანდია - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი;
ნანა ცერცვაძე - ა(ა)იპ საქართველოს ბიზნესასოციაციის სექტორული განვითარების ხელმძღვანელი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები:

დირექტორის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელი:

თამარ მახარაშვილი

აკრედიტაციის სამმართველოს უფროსი:
გიორგი ცხვედიანი

ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის თანამშრომლები:
თამარ შენგელია;
თამარ აფრასიძე;
გიორგი მელიქაძე;
ნინო გაგელიძე;
ლევან მადათოვი.

აკრედიტაციის ექსპერტები:
ზვიად როგავა;
ზაზა რუხაძე;
ნინო ბალანჩივაძე;

ეკატერინე გიგაშვილი;
მაია გონაშვილი;
ხათუნა საგანელიძე;
თამარ ვალიშვილი;
გოჩა თუთბერიძე;
თამარ ტუფინაშვილი.

შპს სასწავლო უნივერსიტეტ ევროპული აკადემიის წარმომადგენლები:
მარინე მარინაშვილი;
ფატი შენგელია;
ლაშა ნარსია.

სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენლები:
თეონა ხუფენია;
ნინო მაქაცარია;
ქეთევან ლატარია;
ზაალ ქორთუა;
შორენა ლომთაძე;
რობიზონ ხურცილავა.

შპს ქუთაისის უნივერსიტეტის წარმომადგენლები:
ლელა ქელბაქიანი;
ელენე გვენცაძე;
ლია ელიავა.

შპს ევროპის სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენლები:
ლაშა კანდელაკიშვილი;
იოსებ კელენჯერიძე;
გიორგი ელისაბედაშვილი;
მაია ხურცილავა;
თეა ჯუღელი.

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლები:
თამარ ვეფხვაძე;
ნატალია ბარათელი;
კახა გაბუნია.

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლები:
გიორგი ძიძიგური;
გიორგი აბრამიშვილი;
დენიტა ბიბილეიშვილი;
მამუკა მაისურაძე;

მარინა ჯავახიშვილი;
მანანა მოისწრაფიშვილი.

შპს სასწავლო უნივერსიტეტ გეომედის წარმომადგენლები:
მარინა ფირცხალავა;
ლელა აფციაური;
გურამ ამყოლაძე;
თამარ ოქროპირიძე;
თამარ სოზაშვილი.

სხდომა დაიწყო 13:35 სთ-ზე. საბჭოს თავმჯდომარემ წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი.

1. შპს სასწავლო უნივერსიტეტ ევროპული აკადემიის სამართლის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სამართლის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის დაწყებითი განათლების საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
6. შპს ქუთაისის უნივერსიტეტის სამართლის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
7. შპს ქუთაისის უნივერსიტეტის ზოგადი ბიზნესის ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
8. შპს ევროპის სასწავლო უნივერსიტეტის სამართლის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
9. შპს ევროპის სასწავლო უნივერსიტეტის საერთაშორისო სამართლის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
10. შპს ევროპის სასწავლო უნივერსიტეტის ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
11. შპს ევროპის სასწავლო უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
12. შპს სასწავლო უნივერსიტეტ გეომედის ჯანდაცვის ეკონომიკისა და მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
13. შპს სასწავლო უნივერსიტეტ გეომედის ჯანდაცვის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
14. შპს სასწავლო უნივერსიტეტ გეომედის ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
15. შპს სასწავლო უნივერსიტეტ გეომედის ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

16. შპს სასწავლო უნივერსიტეტ გეომედის სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
17. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მულტილინგვური განათლების (დაწყებითი განათლების საფეხური) საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
18. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ქიმიის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
19. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სასურსათო პროდუქტების წარმოების ინჟინერიის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
20. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მშენებლობის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
21. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ლოჯისტიკის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
22. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სახმელეთო სატრანსპორტო-ტექნოლოგიური საშუალებების საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
23. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მეტალურგიის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
24. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გამოთვლითი მათემატიკის ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
25. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქეოლოგიის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
26. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამოსის დიზაინის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

მდივანმა შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის #65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 26-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. მდივანმა საბჭოს წევრებს მიუთითა ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების 28-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმადაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე განცხადება დატოვა თინანო თევზაძემ. მისი თქმით, განცხადებაში ასახული იყო ინფორმაცია, რომელიც შეეხებოდა ქონებრივ დავას ორ საგანმანათლებლო დაწესებულებას შორის, კერძოდ, შპს აიბი ევრო კავკასიურ უნივერსიტეტსა და შპს ევროპის სასწავლო უნივერსიტეტს შორის. განმცხადებლის განმარტებით, მისი მიზანი იყო საბჭოს წევრების ინფორმირება აღნიშნულის თაობაზე, ვინაიდან 13 დეკემბრის საბჭოს სხდომაზე უნდა მომხდარიყო შპს ევროპის სასწავლო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საკითხის განხილვა. თავმჯდომარის, გიორგი კამკამიძის განმარტებით, საბჭოს კომპეტენციას არ მიეკუთვნებოდა ინტელექტუალური და ქონებრივი დავების განხილვა, და ვერ მოხდებოდა აღნიშნულის გარკვევა საბჭოს სხდომაზე, თუმცაღა განცხადების დატოვების უფლება მას ჰქონდა. თინანო თევზაძემ, განცხადების წარდგენის შემდგომ, დატოვა საბჭოს სხდომა.

1.შპს სასწავლო უნივერსიტეტ ევროპული აკადემიის სამართლის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება:	სამართალი
განათლების საფეხური:	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია:	სამართლის ბაკალავრი
სწავლების ენა:	ქართული
კვალიფიკაციის კოდი:	06
კრედიტების რაოდენობა:	240

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წინაშე ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა-რეკომენდაციები წარადგინა ჯგუფის თავმჯდომარემ - ზვიად როგავამ.

- პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალის ნაწილი მოღვაწეობს თბილისისა და ქუთაისის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში. აღნიშნულ პროგრამაზე სწავლების ხარისხის უზრუნველსაყოფად აუცილებელია დაწესებულებამ პროგრამის განხორციელების პერიოდში მოახდინოს ამ კვალიფიკაციის მქონე პერსონალის შენარჩუნება და მათ მიერ, წარმოდგენილი გეგმის შესაბამისად სასწავლო პროცესის განხორციელება;
- მნიშვნელოვანია სხვა ქალაქიდან მოწვეული პერსონალისათვის განისაზღვროს დისტანციურად კონსულტაციების გაწევის სქემებიც;
-
- დაწესებულების ორიენტაცია სწავლების, სამეცნიერო მუშაობისა და კურსდამთავრებულთა დასაქმების ინტერნაციონალიზაციაზე სამართლის საგანმანათლებლო პროგრამაში წარმოჩენილია უცხო ენის ადეკვატურ დონეზე შესწავლით, ასევე უცხოენოვანი ლიტერატურის შეთავაზებით, თუმცა ინსტიტუციურ დონეზე, სასწავლო უნივერსიტეტის - ევროპული აკადემიის საერთაშორისო კავშირები და ინტერნაციონალიზაციაზე მუშაობა გაფართოებას საჭიროებს, მათ შორის, აღნიშნული პროგრამის სტუდენტებთან და პერსონალთან მიმართებაშიც;
- საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების სისტემის მეტი ეფექტურობისა და გამჭვირვალეობისათვის გასათვალისწინებელია შემდეგი რეკომენდაციები:
- სილაბუსებით გათვალისწინებულია ყოველკვირეული გამოკითხვა (წერითი (ტესტირება), ზეპირი). თითოეული ყოველკვირეული გამოკითხვა (წერითი-ტესტირება,ზეპირი) ფასდება 30 ქულით. ყოველკვირეული შეფასებების საბოლოო ქულა იანგარიშება საშუალო არითმეტიკულით, ანუ ყოველკვირეულ გამოკითხვებში მიღებული ქულების ჯამის გაიყოფით ჩატარებულ ყოველკვირეულ გამოკითხვათა რაოდენობაზე. აღნიშნული მიდგომით, გაზრდილია ერთსა და იმავე ხარისხის ცოდნის შეფასების დიაპაზონი (მაგალითად 1-6 ქულამდე სტუდენტს ენიჭება მასალის ფრაგმენტულად ცოდნისთვის, თუმცა აღნიშნულია, რომ ერთსა და იმავე კრიტერიუმის ფარგლებში ქულათა დიფერენცირება ითვალისწინებს სტუდენტის მიერ

დაშვებულ არაარსებით ხასიათის უზუსტობას.). ამასთან, ყოველკვირეული გამოკითხვისათვის განსაზღვრული 30 ქულის მისაღებად სტუდენტს, სემინარის ერთი საათის განმავლობაში, საკმაოდ დიდი მოცულობის სამუშაოს შესრულება უწევს (მაგალითად, სტუდენტს 30 ქულის მისაღებად სჭირდება სამი 10 ქულიანი თეორიული საკითხის, ან ექვსი 5 ქულიანი კაზუსის, ან 15 ღია კითხვის, ან 30 ტესტის, ან მათი კომბინაციის შესრულება);

- სასურველია ყოველკვირეული გამოკითხვის (წერითი გამოკითხვა (ტესტირება), ზეპირი გამოკითხვა) ჯამური 30 ქულა ჩაიშალოს დაგროვების პრინციპით ანუ სტუდენტის ყოველკვირეული გამოკითხვა (წერითი გამოკითხვა (ტესტირება), ზეპირი გამოკითხვა) სემესტრის განმავლობაში შეფასდეს 2-4 ქულით, რაც შეფასების სისტემას სტუდენტის სამუშაო დროზე უფრო მორგებულს და გამჭვირვალეს გახდის.
- მიზანშეწონილია კაზუსისა და თეორიული საკითხის შეფასების კრიტერიუმები არ იყოს იდენტური და ითვალისწინებდეს შესაბამისი კომპონენტის სპეციფიკას;
- სამოხელეო სამართლის სასწავლო კურსის წინაპირობად მიზანშეწონილია განისაზღვროს არამხოლოდ ადმინისტრაციული სამართალი, არამედ შრომის სამართალიც, რომლის ნორმებსაც აღნიშნული დარგი იყენებს, რის შესახებაც მითითებულია სამოხელეო სამართლის სილაბუსში. ამასთან, ადმინისტრაციული სამართლის პროცესის სასწავლო კურსის წინაპირობად მიზანშეწონილია განისაზღვროს არამხოლოდ სამოქალაქო სამართლის პროცესი, არამედ ადმინისტრაციული სამართალიც;
- სტუდენტთა პრაქტიკული უნარების, განსაკუთრებით კი საადვოკატო უნარების. განვითარების მიზნით, სასურველია პროგრამის პრაქტიკული უნარების კომპონენტს დაემატოს სასწავლო კურსი „საპროცესო უნარ-ჩვევები". ამასთან, სასურველია სასწავლო უნივერსიტეტმა მაქსიმალურად გამოიყენოს ადგილობრივი სასამართლოს სამოსამართლო რესურსი;
- სასურველია მატერიალური რესურსის გაძლიერება აუდიო-ვიდეო ტექნოლოგიების (პროექტორების) სასწავლო პროცესში გამოყენების თვალსაზრისით.

თავმჯდომარემ, გიორგი კამკამიძემ, საკუთარი მოსაზრების გამოთქმის შესაძლებლობა მისცა დაწესებულების წარმომადგენლებს.

ექსპერტთა მიერ შემუშავებულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით, საბჭოს წინაშე საკუთარი მოსაზრება წარმოადგინა დაწესებულების წარმომადგენელმა. მან განმარტა, რომ არაადგილობრივი, მოწვეული პერსონალის, შენარჩუნება მოხდებოდა მათთვის შესაბამისი პირობების უზრუნველყოფით, მათ შორის ტრანსპორტითაც. გარდა ამისა, გაიზრდებოდა ადგილობრივი კადრების ჩართვაც. სხვა ქალაქიდან მოწვეული პერსონალის მიერ კონსულტაციების დისტანციურად წარმართვა უკვე აპრობირებულ მეთოდს წარმოადგენდა. კურსდამთავრებულთა დასაქმების ინტერნაციონალიზაციის საკითხთან დაკავშირებით განმარტა, რომ მიმდინარეობდა აქტიური თანამშრომლობა უცხოურ პარტნიორ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან პრაქტიკული კურსების განხორციელებაზე, კერძოდ, ბალტიისპირეთის უნივერსიტეტებთან. დაწესებულების მიერ, შეფასების სისტემასთან დაკავშირებული რეკომენდაციების გაზიარებაც მოხდებოდა, კერძოდ ყოველკვირეული

გამოკითხვის ჯამური 30 ქულის ჩაშლა მოხდება დაგროვების პრინციპით. ასევე, კაზუსისა და თეორიული საკითხის შეფასების კრიტერიუმები არ იქნება იდენტური და მოხდება შესაბამისი კომპონენტის სპეციფიკის გათვალისწინება. საგნების წინაპირობებთან დაკავშირებული რეკომენდაციები უკვე გაითვალისწინა დაწესებულებამ. პროგრამის პრაქტიკული უნარების კომპონენტისათვის დაიგეგმა სასწავლო კურსის „საპროცესო უნარ-ჩვევების" დამატება. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, უნივერსიტეტს ჰქონდა კრიმინალისტიკური ლაბორატორია, სასამართლო დარბაზი - იმიტირებული პროცესების ჩასატარებლად. პროექტორების სასწავლო პროცესში გამოყენებასთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ დაწესებულებას ჰქონდა პროექტორები, მაგრამ ექსპერტთა ვიზიტის დროს ისინი არ იყო ჩამონტაჟებული.რაც შეეხება კურსდამთავრებულთა დასქმებას ადგილობრივ კადრებზე დიდი მოთხოვნა იყო ქალაქის გამგეობაში, საკრებულოში. სასწავლო პრაქტიკებთან დაკავშირებით, წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სტუდენტები პრაქტიკას გაივლიდნენ ქუთაისში - საქართველოს პარლამენტში, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში და სხვა.

საბჭოს წევრი, თამარ ზარანდია დაინტერესდა, პროგრამაში წარმოდგენილი აკადემიური პერსონალი, რამდენად სტაბილურად განახორციელებდა დაწესებულებაში თავის საქმიანობას და მხოლოდ აკრედიტაციის მიზნებისთვის ხომ არ მომხდარა მათი ჩართვა. ასევე, როგორი იყო ადგილობრივი და მოწვეული აკადემიური პერსონალის თანაფარდობა და რა ხანგრძლივობის ხელშეკრულებები იყო გაფორმებული მათთან.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ დაწესებულებას ჰყავდა 23 აკადემიური პერსონალი, აქედან 13 იყო ადგილობრივი კადრი, ხოლო 10 მოწვეული. ამასთან, მოწვეულ პერსონალთან განუსაზღვრელი ვადით ხდებოდა ხელშეკრულებების დადება.

2.სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სამართლის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება:	სამართალი
განათლების საფეხური:	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია:	სამართლის ბაკალავრი
სწავლების ენა:	ქართული
კვალიფიკაციის კოდი:	06
კრედიტების რაოდენობა:	240

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წინაშე ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა წარადგინა ჯგუფის თავმჯდომარემ, ზაზა რუხაძემ.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ რომ რეგულირებად პროფესიებთან მიმართებით თამასა იმდენად მაღალია, რომ მიზანშეწონილია საგანმანათლებლო დაწესებულებებმა თავიანთი ძალისხმევა სხვა პროგრამების განხორციელებასა და განვითარებას მოახმარონ.

ზაზა რუხაძემ განმარტა, რომ სანამ უშუალოდ პროგრამის შეფასებაზე გადავიდოდა, ხაზი უნდა გასმოდა იმ გარემოებას, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის 1.1 პუნქტის შეფასებაში გაკეთებული ჩანაწერის - *„... არარელევანტურია მიზანშეწონილობის და მიღწევის თვალსაზრისით სწავლების ამ საფეხურზე"* ნაცვლად უნდა ყოფილიყო შემდეგი

ჩანაწერი - *„...არარელევანტურია მიზანშეწონილობის და მიღწევის თვალსაზრისით სწავლების ამ საფეხურზე აღნიშნული პროგრამისათვის.”*.

ექსპერტმა აღნიშნა სამართლის პროგრამის შემოწმებისას ჩამოყალიბდა შემდეგი სახის მოსაზრებები:

- ცალკეული სასწავლო კურსების შინაარსი, ასევე სილაბუსით გათვალისწინებული ლიტერატურა ვერ უზრუნველყოფს ამავე კურსით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. მაგალითად:სასურველი და მიზანშეწონილი იქნებოდა ლიტერატურის განახლება და შევსება სასწავლო კურსში „კრიმინოლოგია“, მაგ. დაემატოს მ. შალიკაშვილის, კრიმინოლოგია, 2010 ან 2011 წლის გამოცემა.
- საყურადღებოა ის გარემოება, რომ აღნიშნული პროგრამის წინა დასკვნაში მითითებული შენიშვნა კვლავ რჩება სამართლის ზოგადი ნაწილის სილაბუსში კერძოდ, პრობლემამ მე-14 კვირიდან გადაინაცვლა მე-15 კვირაში. კერძოდ, 08.01.2014 ექსპერტთა დასკვნაში აღნიშნული იყო: „სასწავლო კურსის „სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის“ (5 კრედიტი) სილაბუსის მე-14 კვირის თემიდან „სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება“ ამოსაღებია საკითხი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლება დაზარალებულთან შერიგების გამო, ვინაიდან აღნიშნული საფუძველი გაუქმებულია 2010 წლის 24 სექტემბრის კანონით.“ ;
- სისხლის სამართლის კერძო ნაწილი პირველი სილაბუსის მე-5 კვირის თემაში დანაშაული ჯანმრთელობის წიინააღმდეგ, გათვალისწინებულია „წამება“. წამების შემადგენლობა 2005 წელს ჩამოყალიბდა ადამიანის უფლებების და თავისუფლებების წიინაღმდეგ მიმართულ დანაშაულთა თავში 144[1]მუხლის სახით. აქვე, ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა თავს დღეისათვის დამატებული აქვს „ოჯახში ძალადობა“ (სსკ-ის 126[1] მუხ.), რაც კურსის სილაბუსში საერთოდ არ არის ასახული. სისხლის სამართლის არც კერძო პირველის და არც კერძო მეორეს სილაბუსებში არ განიხილება სამხედრო სამსახურის წინააღმდეგ მიმართული და კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები, შესაბამისად, სისხლის სამართლის კერძო ნაწილის შესწავლა წყდება სისხლის სამართლის კოდექსის 413-ე მუხლის ჩათვლით. ლიტერატურა არის 2011 წლის, სასურველია იყოს 2013 წლის რედაქციით „სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, გამომცემლობა „მერიდიანი.“;
- სისხლის სამართლის კერძო ნაწილი II (დანაშაულის სხვა სახეები)- პირველი კვირის თემიდან „დანაშაული საკუთრების წინააღმდეგ ითვალისწინებს კოდექსიდან 2007 წლის 23 მაისის კანონით გაუქმებული 184-ე მუხლის (ავტომობილის ან სხვა მექანიკური სატრანსპორტო საშუალების მართლსაწინააღმდეგო და უფლებამესაკუთრის ნების გარეშე) სწავლებას. აღნიშნული შესაძლებელი და მიზანშეწონილია მხოლოდ საკუთრების წინააღმდეგ მიმართული ისეთი კლასიკური დელიქტების შესწავლა-დახასიათებისას, როგორიცაა ქურდობა, ძარცვა და ყაჩაღობა. სხვა შემთხვევაში მასზე მითითება სილაბუსში უბრალოდ ზედმეტია;
- მეორე კვირის თემაში „დანაშაული საკუთრების წინაარმდეგ“ მოცემული თემატიკა არ შეესაბამება თემის სათაურს და მოიცავს დანაშაულობათა

შემადგენლობას თავიდან „დანაშაული სამეწარმეო ან სხვა ეკონომიკური საქმიანობის წინააღმდეგ“;

- პირველი კვირიდან მეცხრე კვირის ჩათვლით თემატიკასთან მიმართებით ლიტერატურა არასწორადაა მითითებული, რადგან აღნიშნულ წიგნში სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი II, შესაბამისი თემატიკა საერთოდ არ არის განხილული, ხოლო სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, რაც საჭიროა აღნიშნული თემატიკისათვის სილაბუსში საერთოდ არ არის მითითებული.
- სისხლის სამართლის კერძო ნაწილი პირველი და კერძო ნაწილი მეორე სილაბუსები მიზნის და სწავლის შედეგების ნაწილში აბსოლუტურად იდენტურია;
- სილაბუსის შესავალი სპეციალობაში მიზანში „სამართლებრივი თეორიების ფორმულირება და შეფასება“ და „იურიდიული მეცნიერების საფუძველმდებარე პრინციპების და კონცეფციების შეცნობა“ არაელევანტურია საბაკალავრო საფეხურისათვის; ხოლო „საკუთარი სამართლებრივი პოზიციის გამოხატვისა და დასაბუთების სწავლება“ ვერ იქნება ამ კურსის მიზანი;
- კონსტიტუციური სამართლის წარმოდგენილი სილაბუსის მიხედვით: მეათე კვირის თემაში: საქართველოს საარჩევნო სისტემა და საარჩევნო სამართალი, განსახილველ საკითხებად ჩაშლიალია: „არჩევნების ცნება და ზოგადი დახასიათება; საარჩევნო სამართლის პრინციპები; საარჩევნო სისტემები; საარჩევნო პროცესი და მისი სტადიები საქართველოში; რეფერენდუმი.“ ასეთი მიდგომის პირობებში, როცა ცალკეა გამოყოფილი რეფერენდუმი, სასურველი იქნებოდა სილაბუსით ცალკე იქნეს მიწოდებული ინფორმაცია უშუალო დემოკრატიის სხვა ფორმებზეც, მაგ. პლებისციტი;
- კონსტიტუციური სამართლის სილაბუსში მეთერთმეტე კვირის თემაში: „საქართველოს პარლამენტი“, განსახილველ საკითხებში მოცემულია: „სახელმწიფო ორგანოთა სისტემა საქართველოში“ სასურველია და უნდა იკითხებოდეს „საქართველოს კონსტიტუციურ–სამართლებრივი წყობილების საფუძვლებში“, რაც შექმნიდა პარლამენტის შესახებ თემატიკის სრულყოფილად სწავლების შესაძლებლობას;
- კონსტიტუციური სამართლის სილაბუსის ლიტერატურაში ნორმატიული მასალა საკმაოდ კარგად არის წარმოდგენილი, თუმცა თემის „საქართველოს მთავრობა“ შეუძლებელია „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ„ 2004 წლის 11 თებერვლის საქართველოს კანონის გარეშე, რაც არ არის მითითებული;
- კონსტიტუციური სამართლის საწავლო კურსში საკითხები თემატურად კი არ არის გაყოფილი, არამედ ტექნიკურადაა ჩაშლილი. „საქართველოს პარლამენტი“ ისწავლება მე-12 და მე-13 კვირას და მასთან ერთად ჩართულია სახელმწიფოს მეთაური, რაც არ არის მიზანშეწონილი. მე-17 კვირაში გათვალისწინებულია ორი საკმაოდ მოცულობითი თემის - სასამართლო ხელისუფლების და ადგილობრივი თვითმმართველობის სწავლება, რაც არამიზანშეწონილია, რადგან ასეთი მიდგომებით შეუძლებელია სასწავლო კურსის მიზნის მიღწევა და შესაბამისი კომპენტენციების გამომუშავება;

- პროგრამას ემსახურება უნივერსიტეტის დარგის ორი პროფესორი ლევან ჯაყელი და ზაალ ქორთუა, პროგრამის ხელმძღვანელი არის მოწვეული ლექტორი, დანარჩენი პროფესორები არიან მოწვეული სპეციალისტები, რომლებსაც აქვთ პრაქტიკული გამოცდილება. თუმცა, პროგრამის სწავლის შედეგების უკეთ მიღწევის მიზნით აუცილებელია აკადემიური პერსონალის რაოდენობის გაზრდა.

ექსპერტების მიერ შემუშავდა შემდეგი სახის რეკომენდაციები:

- მთელ რიგ სილაბუსებში გასამართია ლიტერატურის მითითების აპარატურა;
- გასაძლერებელია პროგრამის პრაქტიკული კომპონენტი სხვადასხვა პრაქტიკული სილაბუსის სახით ან იურიდიული კლინიკის სახით;
- „საერთაშორისო საჯარო სამართალი I (ზ/ნ)" სასურველი იქნებოდა ლიტერატურის განახლება კონკრეტულად სასურველი იქნებოდა ამ ნაწილისთვის დაემატოს ქართულ ენაზე თარგმნილი ბრაუნლის „საერთაშორისო საჯარო სამართლის პრინციპები";

საბჭოს თავმჯდომარემ, გიორგი კამკამიძემ მიმართა ექსპერტს, სანამ დაწესებულების წარმომადგენელი, სამართლის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი შემოუერთდებოდა საბჭოს სხდომას, წარედგინა მას საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა.

3.სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება:	საჯარო მმართველობა
განათლების საფეხური:	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია:	საჯარო მმართველობის ბაკალავრი
სწავლების ენა:	ქართული
კვალიფიკაციის კოდი:	1109
კრედიტების რაოდენობა:	240

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ზაზა რუხაძემ აღნიშნა, რომ საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამა ნოვაციაა ჩვენს რეალობაში, თუმცა ისევე როგორც სამართლის საბაკალავრო პროგრამის შემთხვევაში, მიზანშეწონილია საგანმანათლებლო დაწესებულებებმა თავიანთი ძალისხმევა სხვა პროგრამების განხორციელებასა და განვითარებას მოახმარონ.

ექსპერტის თქმით, სამართლის პროგრამის შემოწმებისას ჩამოყალიბდა შემდეგი სახის მოსაზრებები:

- სასურველი იქნებოდა პროგრამის მიზნის დაკონკრეტება არა იმ მიმართულებით, რომ პროგრამა შეძლებს *„სათანადო პროფესიული და აკადემიური უნარების, თეორიული თუ პრაქტიკული ცოდნის მიწოდებით უზრუნველყოს საჯარო და არაკომერციული სექტორის ადმინისტრირებისათვის საჭირო ეკონომიკური, მენეჯერული, სამართლებრივი და პოლიტოლოგიური ცოდნით აღჭურვილი*

ეთიკური ლიდერის მომზადება,...“ არამედ უფრო კონკრეტიკის თვალსაზრისით, უფრო პრაქტიკული რომ გახდეს იმ გამოწვევებთან მიმართებაში რათა შეძლონ ამ გამოწვევების პირობებში ეფექტური და ეფექტიანი მმართველობა. მიზნის ამ მიმართულებით გააზრება აისახებოდა პროგრამის შინაარსზეც;

- მიზანშეწონილია „პოლიტიკური მოძღვრების ისტორიის“ სასწავლო კურსი ისწავლებოდეს მხოლოდ წყაროებით, როგორც ეს ხდება ანალოგიურ კონკურენტუნარიან პროგრამებში, წარმოდგენილ პროგრამაში შესაბამისი წყაროები საერთოდ არ არის წარმოდგენილი. მითუმეტეს როცა პრაქტიკულად ყველა წყარო თარგმნილია ქართულად. არსებული მსოფლიო პრაქტიკის მიხედვით, პრინციპულად პოლიტიკური მოძღვრების ისტორია იყოფა ორ ნაწილად. პირველი ნაწილი ანტიკური ხანიდან განმანათლებლობამდე, ხოლო მეორე ნაწილი მეცხრამეტე საუკუნიდან თანამედროვეობამდე. წარმოდგენილ სილაბუსში ასეთი სტრუქტურა არ არის.სილაბუსში აღნიშნული დამხმარე ლიტერატურა გარდა ერთისა (Robert E. Goodin and Philip Pettit. A Companion to Contemporary Political Philosophy.Oxford, 2001) არ არის რელევენატური წარმოდგენილი სილაბუსისთვის.

ზაზა რუხაძის თქმით დაწესებულების მიმართ შემუშავდა შემდეგი სახის რეკომენდაციები:

- პროგრამის ცოდნა გაცნობიერების ნაწილში მითითებულია რომ სტუდენტს ექნება „სამართლის ისტორიული წყაროების ფართო ცოდნა“, შესაბამის სილაბუსში „საზღვარგარეთის ქვეყნების სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია“ არ არის მოცემული არცერთი სამართლებრივი წყარო, ხოლო ქართული სამართლის ძეგლების სასწავლო კურსი გათვალისწინებული არჩევითი კურსების ბლოკში. შესაბამისად, ამ ნაწილში პროგრამის განხორციელება არარელევენტურია;
- სასურველია, პოლიტოლოგიის სასწავლო კურსის სილაბუსის გამდიდრება შესაბამისი ლიტერატურით. წარმოდგენილი სილაბუსით როგორც სავალდებულო ასევე დამხმარე ლიტერატურა არის უკიდურესად სუსტი და აკადემიურად ღარიბი, მაშინ როდესაც საქართველოში თარგმნილია რამდენიმე სახელმძღვანელო პოლიტოლოგიის შესავლისთვის რომელიც მისი აკადემიური ხარისხით მრავალჯერ აღემატება სილაბუსში წარმოდგენილ ლიტერატურას. მაგალითად ენდრიუ ჰეივუდის „პოლიტიკა, საქართველოს უნივერსიტეტის და საქართველოს მაცნეს გამომცემლობა, თბილისი, 2008; თომას მ. მაკშტადტი, გავიგოთ პოლიტიკა, იდეები, ინსტიტუტები და პრობლემები, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2010;
- სოციოლოგიის სასწავლო კურსის სილაბუსი სტანდარტულად დამაკმაყოფილებელია, რელევანტური ლიტერატურით. თუმცა რეკომენდირებულია ლიტერატურა გამდიდრდეს უფრო უცხოელი ავტორებით რადგან ჩვენში სოციოლოგიის სწავლება მაინც ახალი აკადემიური პროდუქტია. შესაბამისად კურსის შედეგი უფრო ადვილად მისაღწევი გახდება;
- ქვეყანათმცოდნეობის სასწავლო კურსის სილაბუსით წარმოდგენილია სხვადასხვა ქვეყნების ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური პროცესები რაც ამბივალენტურია აკადემიური თვალსაზრისით. შესაძლებელია და მიზანშეწონილიც იქნებოდა ცალკეულად ისწავლებოდეს მაგალითად ისეთი კურსები როგორიცაა „ევროპული ქვეყნების შედარებითი პოლიტიკა“ „თანამედროვე ევროპული საზოგადოებები“ „ეკონომიკური სისტემები მსოფლიოში“ და ასე შემდეგ.

საბჭოს თავმჯდომარემ, მოსაზრების გამოთქმის შესაძლებლობა მისცა დაწესებულების წარმომადგენლებს და აღნიშნა, რომ ჯერ სამართლის პროგრამასთან,ხოლო

შემდეგ საჯარო მმართველობის პროგრამასთან დაკავშირებით მომხდარიყო მოსაზრებების წარდგენა.

დაწესებულების წარმომადგნელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტებს შემუშავებული რეკომენდაციებისათვის და აღნიშნა, რომ დაწესებულება იზიარებდა სამართლის პროგრამასთან დაკავშირებით შემუშავებულ რეკომენდაციებს და ზოგიერთი მათგანი უკვე გაითვალისწინეს, . მისი განმარტებით, სილაბუსების ნაწილში, მთლიანად განახლდა წიგნები, ასვე, შეიძინეს წიგნები ბიბლიოთეკისათვის.სამართლის ზოგადი ნაწილის სილაბუსში, „სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების" თემასთან, დაკავშირებით აღნიშნა, რომ საკითხის ჩასმა იმით იყო განპირობებული, რომ შედარებითი ანალიზი მოეხდინა სტუდენტს. ამასთან, სილაბუსების განახლება მუდმივად მიმდინარეობს, და თუ საჭირო გახდება, ამ საკითხის ამოღება მოხდება საერთოდ სილაბუსიდან. „წამების" გადანაცვლება მოხდება ადამიანის უფლებების და თავისუფლებების წიინაღმდეგ მიმართულ დანაშაულთა თავში. ადგილობრივი აკადემიური პერსონალის მეტი დოზით ჩართვასთან დაკავშირებით, მან აღნიშნა, რომ ვინაიდან ამჟამად ეს პროგრამა არ ხორციელდება უნივერსიტეტში, ვერ მოხდებოდა მათი ანაზღაურება. თუმცაღა, ამ ეტაპზე კონკურსი ჰქონდა დაწესებულებას გამოცხადებული და ადგილობრივი კადრების რაოდენობა გაიზრდებოდა. სილაბუსებში ლიტერატურის მითითების აპარატურის გაუმართავობასთან დაკავშირები, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ნაკლებ მნიშვნელოვანია, რომელ გრაფაში მოხდებოდა ლიტერატურის მითითება, მთავარი იყო სავალდებულო ლიტერატურა ყოფილიყო გაწერილი სილაბუსებში.

ექსპერტმა განმარტა, რომ რეკომენდაცია, რომელიც შეეხებოდა სილაბუსებში ლიტერატურის მითითების აპარატურის გაუმართაობას, არ გულისხმობდა, თუ რომელ გარაფაში უნდა მომხდარიყო ლიტერატურის გაწერა. მან აღნიშნა, რომ არ ეთანხმებოდა დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებას, თემებისა და საკითხების განლაგების შემთხვევითობასთან და შედარებითი ანალიზის გაკეთებასთან დაკავშირებით, რადგანაც ეს არასწორ მიდგომას წარმოადგენდა და პროგრამის განხორციელების მიზანთან და სტრატეგიასთან იყო პირდაპირ კავშირში. ამასთან, ექსპერტის თქმით, დაწესებულების წარმომადგენელს სურდა, პროგრამასთან დაკავშირებული შინაარსობრივი რეკომენდაციები და მოსაზრებები , ტექნიკურ მხარედ წარმოეჩინა.

საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამასთან მიმართებით დაწესებულების წარმომადგნელმა აღნიშნა, რომ დაწესებულება იზიარებდა შემუშავებულ რეკომენდაციებს და მათი გათვალისწინებით მოხდებოდა პროგრამის ოპტიმიზაცია.ქართული სამართლის ძეგლების სასწავლო კურსი გათვალისწინებული იყო სავალდებულო კურსების ბლოკში, ხოლო შემდეგ მოხდა მისი გადატანა არჩევითი კურსების ნუსხაში, ვინაიდან დაწესებულებამ მიიჩნდა, რომ აღნიშნული პროგრამის სტუდენტებისათვის არ იყო სავალდებულო ამ კურსის სწავლება. თუმცაღა, რეკომენდაციას გაითვალისწინებენ და ისევ სავალდებულო კურსად გადმოიტანენ ქართული სამართლის ძეგლების სასწავლო კურსს. პოლიტოლოგიის კურსის სასწავლო ლიტერატურა იყო დაწესებულების ბიბლიოთეკაში, და მოხდება მათი ასახვა სილსბუსში. სოციოლოგიის კურსის შემთხვევაშიც ლიტერატურა განახლდება და გამრავალფეროვნდება. ქვეყანათმცოდნეობის სასწავლო კურსთან მიმართებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ აღნიშნული კურსის სწავლება ხდებოდა სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამაზე და საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამასთან მიმართებით მოხდებოდა მისი მოდიფიცირება.

საბჭოს წევრმა, თამარ ზარანდიამ მადლობა გადაუხადა ექსპერტებს პროგრამების საფუძვლიანი შესწავლისათვის და კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, თუ რა გარემოებთ აიხსნებოდა ის ფაქტი, რომ სამართლის საბაკალავრო პროგრამის

განხორციელების შემთხვევაში, ერთი ადამიანის მიერ მოხდებოდა სანივთო სამართალის, საბანკო სამართალის, საგადასახადო სამართალის და სხვ. წაკითხვა, ანუ რა კვალიფიკაციის იყო ის კადრი, რომელიც ერთდროულად წაიკითხავდა დაწესებულებაში საჯარო და კერძო სამართლის საგნებს.

დაწესებულების წარმომადგენლემა განმარტა, რომ აღნიშნულ პირს ჰქონდა დიდი პრაქტიკული გამოცდილება დასახელებულ სფეროებში და ამასთან, აღნიშნული საგნების შემოთავაზება მოხდებოდა სხვადასხვა სემესტრებში.

თავმჯდომარემ, გიორგი კამკამიძემ მიმართა საბჭოს წევრებს, რომ სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის დაწყებითი განათლების საბაკალავრო პროგრამისა და მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დასკვნები ერთმანეთის მიყოლებით წარედგინა ექსპერტთა ჯგუფს და ამის შემდეგ მიცემოდა დაწესებულების წარმომადგენლებს საკუთარი მოსაზრების გამოთქმის შესაძლებლობა განსახილველ საკითხებთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა გაიზიარეს საბჭოს თავმჯდომარის მოსაზრება.

4.სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის დაწყებითი განათლების საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება:	დაწყებითი განათლება
განათლების საფეხური:	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია:	განათლების ბაკალავრი
სწავლების ენა:	ქართული
კვალიფიკაციის კოდი:	03
კრედიტების რაოდენობა:	240

5.სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება:	მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა
კრედიტების რაოდენობა:	60

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წინაშე ექსპერტთა ჯგუფის დასკვნები წარადგინეს ჯგუფის თავმჯდომარემ ნინო ბალანჩივაძემ და ექსპერტთა ჯგუფის წევრმა ეკატერინე გიგაშვილმა.

ნინო ბალანჩივაძის თქმით, დაწყებითი განათლების საბაკალავრო პროგრამის შემდგომი გაუმჯობესებისა და დახვეწის მიზნით, შემუშავდა შემდეგი სახის რეკომენდაციები:

- საგანამანათლებლო პროგრამის მიზნებიდან ერთერთი შემდეგნაირადაა ფორმულირებული: პროგრამის მიზანია "მოამზადოს დაწყებითი კლასების მასწავლებელი-მკვლევარი, რომელსაც ექნება თეორიული ცოდნა და პრაქტიკული უნარ-ჩვევები ჩაატაროს წინასწარ დაგეგმილი კვლევა თავის დარგში, მოახდინოს მონაცემების შეგროვება და გააკეთოს დასაბუთებული დასკვნა". მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის (ბრძანება # 39/ნ 2014 წლის 28 მარტი) რეგულირების სფეროს წარმოადგენს მასწავლებლის მომზადება, პროფესიული განვითარება და

კარიერული ზრდის ხელშეწყობა. წარმოდგენილი პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობის დადგენა შესაძლებელია პრაქტიკოსი მასწავლებლის მომზადებისთვის, რაც გულისხმობს მასწავლებლის პირველი საკვალიფიკაციო კატეგორიის მომზადებას და უმაღლეს საგანამანათლებლო დაწესებულებებში მიიღწევა. წარმოდგენილი პროგრამის მასწავლებლის სტანდარტთან შეუთავსებლობა დგინდება ამავე ბრძანების II თავის მე-2 მუხლის მე-3, მე-4 ნაწილით, რომელიც ფორმულირდება შემდეგნაირად:

i. 3)."ყოველი საკვალიფიკაციო მოთხოვნა დასტურდება შესაბამისი სახელმწიფო სერტიფიკატით"

ii. 4)."ყოველი მომდევნო საკვალიფიკაციო კატეგორიის მასწავლებელი სრულად უნდა ფლობდეს წინა საკვალიფიკაციო კატეგორიის კომპეტენციებს".

b. შესაბამისად, პირს, რომელსაც ჯერ არ გაუვლია პრაქტიკოსი მასწავლებლის მომზადების პროგრამა და შემდეგ წარჩინებული მაწვლებლის კატეგორიის კომპეტენციების ფლობა ვერ უდასტურდება შესაბამისი სერთიფიკატით, ვერ იქნება მკვლევარი მასწავლებელი, რაც ნიშნავს პროგრამის მიზნის არარელევანტურობას.

c. სასურველია დაზუსტდეს პროგრამის მიზანი და განიმარტოს გამოყენებული ტერმინი „მასწავლებელი-მკვლევარი" (იგულისხმება კარიერული ზრდის ხელშეწყობა თუ უნარ-ჩვევის გამომუშავება);

- სტუდენტის ცოდნის შეფასება ზოგადია და იდენტური სილაბუსის უმრავლესობისათვის, სასურველია სწავლის შედეგის მიღწევის შეფასების მეთოდები, როგორც ზეპირი, ისე წერითი, დაიხვეწოს და უფრო მკაფიო გახდეს;
- პროგრამაში მოცემული ყველა სავალდებულო და არჩევითი კურსებისთვის 5-5 კრედიტის მინიჭება გარკვეულად ხელოვნურ ელფერს იძენს და კარგავს მის უშუალო დანიშნულებას;
- პედაგოგიური პრაქტიკის სილაბუსში მითითებულ პუნქტში - სწავლების ფორმატი- დაფიქსირებულია, რომ სტუდენტისთვის სავალდებულოა „16 გაკვეთილის მომზადება და ასევე გაკვეთილის ნიშანზე გადაცემა (16 გაკვეთილი: ქართული ენა და ლიტერატურა 4 გაკვეთილი, მათემატიკა 4 გაკვეთილი, ბუნებისმცოდნეობა 2 გაკვეთილი, მუსიკა 2 გაკვეთილი, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება 2 გაკვეთილი)" აღნიშნული პუნქტით დასტურდება, რომ სტუდენტს მოეთხოვება ისეთ საგნებში გაკვეთილის ჩატარება, რომელიც არ ისწავლება სასწავლო გეგმით - მუსიკა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, მაგრამ რასაც პროგრამაში სწავლობს 10 კრედიტის ოდენობით-ინფორმატიკა, გაკვეთილის ჩატარება არ მოეთხოვება. ამავე დროს, პედაგოგიური პრაქტიკის სილაბუსში მომდევნო პუნქტის,შეფასების კომპონენტების მიხედვით, ორი საცდელი გაკვეთილის ჩატარება და შეფასება უწევს თითოეული 10 ქულა. ასევე, წარმოდგენილი გაკვეთილის ოდენობა 16 ნაცვლად არის 14. აღნიშნულიდან გამომდინარე პრაქტიკის კომპონენტი გაუაზრებელია;
- გამრავლაფეროვნებას და უახლოესი პუბლიკაციებით გამდიდრებას საჭიროებს სილაბუსებით გათვალისწინებული ლიტერატურა, განსაკუთრებით ბოლოდროინდელი სტატიებითა და კვლევებით;
- „განათლების თეორიების" სასწავლო კურსის შინაარსი იდენტურია გრეგ დიმიტრიადისისა და ჯორჯ კამბერელისის ავტორობით ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ 2010 წელს გამოცემული წიგნის „თეორია განათლებისთვის" შინაარსისა, თუმცა მითითებული სავალდებულო ლიტერატურა განსხვავებულია. სასურველია კურსზე სახელმძღვანელოდ გამოყენებულ იქნას ზემოთ აღნიშნული მასალა;

- პროგრამას განახორციელებენ აკადემიური დოქტორები, მაგრამ არ ყავს არცერთი აკადემიური პერსონალი, რაც პროგრამის განხორციელებისთვის და სტაბილურობისთვის მნიშვნელოვან რესურსს წარმოადგენს;
- სასწავლო კურსების სილაბუსებში კონკრეტულადაა მითითებული საათების რაოდენობა სალექციო, პრაქტიკული, ჯგუფური მუშაობისა და შეფასებებისათვის, რისი გადამოწმებაც სასწავლო გეგმით ვერ ხერხდება, სასურველია სასწავლო კურსის სილაბუსებში მითითებული ეს ინფორმაცია აკუმულირდეს სასწავლო გეგმაშიც;
- რადგან პროგრამა ითვალისწინებს დაწყებითი საფეხურის I-IV კლასების საგანათა ჯგუფის მასწავლებლის მომზადებას (ქართული/მატემატიკა/ბუნებისმეტყველება), მოდულები კრედიტების მიხედვით უნდა იყოს გადანაწილებული თანაბრად, გაუგებარია რატომ არის საგანთა ჩამონათვალში ინფორმატიკისა და ბუნებისმცოდნეობის მოდული 10 კრედიტის ოდენობით. ამავე დროს, ეროვნული სასწავლო გეგმით ბუნებისმცოდნეობის ნაცვლად ისწავლება ბუნებისმეტყველება;
- დაწყებითი განათლების საბაკალავრო პროგრამის სასწავლო გეგმა მოიცავს ე.წ. მასწავლებლის მომზადების მოდულს 60 კრედიტის ოდენობით. კანონმდებლობით დასაშვებია, მასწავლებლის მომზადების 60 კრედიტიანი პროგრამის ინტეგრირება დაწყებითი განათლების საბაკალავრო პროგრამასთან, დაწესებულების მიერ დადგენილი წესის შესაბამისად. რეალურად კი, დაწესებულების მიერ სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი მასწავლებლის მომზადების 60 კრედიტიანი პროგრამა არის დამოუკიდებელი, კონკრეტულად ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის მომზადების პროგრამა, რომელიც მოიცავს როგორც ზოგად სასწავლო კურსებს (40 კრედიტი), ასევე ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მეთოდიკის მოდულს, ხოლო დაწყებითი განათლების საბაკალავრო პროგრამაში ინტეგრირებულ მასწავლებლის მომზადების მოდულში განსხვავებული სასწავლო კურსები შედის. ეს ნიშნავს, რომ პროგრამის განხორციელების შედეგად სახეზე გვექნება ორი განსხვავებული ფორმატისა და შინაარსის მასწავლებლის მომზადების პროგრამა, დაწესებულებას შესაძლებლობა აქვს განახორციელოს დამოუკიდებლადაც და ინტეგრირებულადაც ერთი აკრედიტებული 60 კრედიტიანი პროგრამა.

ეკატერინე გიგაშვილის მოსაზრებით მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემდგომი გაუმჯობესებისა და დახვეწის მიზნით, შემუშავდა შემდეგი სახის რეკომენდაციები:

- პროგრამაზე მიღების წინაპირობები, რომელიც შემდეგნაირადაა ჩამოყალიბებული: პროგრამასთან შესაბამისი დარგობრივი ცოდნა (ბაკალავრის დიპლომი), სასურველია დაზუსტდეს, რადგან პროგრამა კონკრეტულად ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის მომზადებას ითვალისწინებს;
- შეფასება მოიცავს, I და II შუალედური შეფასების, დასკვნით გამოცდის, ჯგუფში მუშაობისა და პრეზენტაციის კომპონენტებს. დანართში ცალ-ცალკეა აღწერილი ამ კომპონენტებით სტუდენტის შეფასების კრიტერიუმები, მათ შორის, I და II შუალედური შეფასებები 20/20 ქულიანი და დასკვნითი გამოცდა 30 ქულიანი შეფასებები სავალდებულო კომპონენტადაა მიჩნეული, ხოლო დანარჩენი არა. შუალედური გამოცდა სტუდნეტს ჩაბარებულად ეთვლება თუ მას 6-ზე მეტი ქულა აქვს, ხოლო დასკვნითი გამოცდა ჩაბარებულად ითვლება თუ მას ექნება 15 და მეტი ქულა. თუ სტუდენტი მხოლოდ სავალდებულოდ ჩასაბარებელ შუალედურ და დასკვნით გამოცდაზე ღებულობს მინიმალურ შეფასებებს მას უგროვდება 6+6+15=27

ქულა. არასავალდებულო შეფასების კრიტერიუმები გაწერილია 13-15;10-12; 7-9;4-6;1-3; და 0 ქულით, არ ჩანს რა შემთხვევაში იწერება 14, 11,8,5,2 ქულა, ასევე გაწერილია შუალედური და დასკვნითი გამოცდისთვის თემის/ესეს შეფასების კრიტერიუმებიც, ამ შემთხვევაშიც ქულებია 9-10;6-8;3-5;0-2, გაურკვეველია რა შემთხვევაში იღებს სტუდენტი 7, 4, ან 1 ქულას. დანართით განსაზღვრული შეფასების სისტემა სხვადასხვა სილაბუსში სხვადასხვაგვარადაა წარმოდგენილი და მსგავსი ხასიათის უზუსტობებს შეიცავს;

- დანართი 3 იძლევა პრაქტიკის განხორციელებისთვის სილაბუსის შემუშავების ინსტრუქციას, პრაქტიკის სილაბუსი თითქმის იმეორებს ინსტრუქციით განსაზღვრულ კიტერიუმებს, მაგრამ პრაქტიკის სილაბუსით სტუდენტი ვალდებულია ჩაატაროს როგორც საცდელი, ასევე ნიშნიანი გაკვეთილები ქართულ ენაში, მათემატიკაში, ბუნებისმცოდნეობაში, მუსიკაში, სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში. რატომ არის სტუდენტი ვალდებული ქართულ ენასა და ლიტერატურის გარდა ჩაატაროს საცდელი გაკვეთილები გაუგებარია;
- პროგრამას განახორციელებენ აკადემიური დოქტორები, მაგრამ არ ჰყავს არცერთი აკადემიური პერსონალი, რაც პროგრამის განხორციელებისთვის და სტაბილურობისთვის ძალიან მნიშვნელოვან რესურსს წარმოადგენს;
- პედაგოგიური პრაქტიკის სილაბუსში მითითებულ პუნქტში - სწავლების ფორმატი- დაფიქსირებულია, რომ სტუდენტისთვის სავალდებულოა „16 გაკვეთილის მომზადება და ასევე გაკვეთილის ნიშანზე გადაცემა (16 გაკვეთილი: ქართული ენა და ლიტერატურა 4 გაკვეთილი, მათემატიკა 4 გაკვეთილი, ბუნებისმცოდნეობა 2 გაკვეთილი, მუსიკა 2 გაკვეთილი, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება 2 გაკვეთილი)"აღნიშნული პუნქტით დასტურდება, რომ სტუდენტს მოეთხოვება ისეთ საგნებში გაკვეთილის ჩატარება, რომელიც არ ისწავლება სასწავლო გეგმით - მუსიკა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, მაგრამ რასაც პროგრამაში სწავლობს 10 კრედიტის ოდენობით-ინფორმატიკა, გაკვეთილის ჩატარება არ მოეთხოვება. ამავე დროს, პედაგოგიური პრაქტიკის სილაბუსში მომდევნო პუნქტის-შეფასების კომპონენტების მიხედვით, ორი, 10 ქულიანი საცდელი გაკვეთილის ჩატარება და შეფასება უწევს . ასევე, წარმოდგენილი გაკვეთილის ოდენობა 16 ნაცვლად არის 14. აღნიშნულიდან გამომდინარე პრაქტიკის კომპონენტი გაუაზრებელია;
- სასწავლო კურსების სილაბუსებში კონკრეტულადაა მითითებული საათების რაოდენობა სალექციო, პრაქტიკული, ჯგუფური მუშაობისა და შეფასებებისათვის, რისი გადამოწმებაც სასწავლო გეგმით ვერ ხერხდება, სასურველია სასწავლო კურსის სილაბუსებში მითითებული ეს ინფორმაცია აკუმულირდეს სასწავლო გეგმაშიც;
- დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მასწავლებლის მომზადების 60 კრედიტიანი პროგრამა ბაკალავრიატისგან დამოუკიდებლად განხორციელების მიზნით შეიქმნა და სასურველია არსებობდეს პროგრამაზე სწავლის მსურველთათვის ცხადად გაწერილი ფინანსური უზრუნველყოფის საკითხები, რადგან საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, დაწესებულებამ თავად უნდა განსაზღვროს პროგრამის ღირებულება და ფინასური უზრუნველყოფის საკითხები;
- მასწავლებლის მომზადების პროგრამას არ ერთვის სერთიფიკატის ფორმა დამტკიცებული სახით, რომელსაც გასცემს კურსდამთავრებულზე პროგრამის დასრულების შედეგად.

გიორგი კამკამიძემ, საბჭოს თავმჯდომარემ, საკუთარი მოსაზრების გამოთქმის შესაძლებლობა მისცა დაწესებულების წარმომადგენლებს ექსპერტთა მიერ შემუშავებულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტებს ორივე პროგრამასთან დაკავშირებით შემუშავებული რეკომენდაციებისათვის და აღნიშნა, რომ კიდევ ერთხელ მოხდა მათ საფუძველზე აღნიშნული საკითხების გააზრება. ,,დაწყებითი კლასების მასწავლებელ-მკვლევართან'' დაკავშირებულ რეკომენდაციასთან მიმართებით განმარტა, რომ პროგრამის ფარგლებში არ ხდებოდა მკვლევარ - მასწავლებლის კვალიფიკაციის მინიჭება და გამოყენებულ ტერმინში იგულისხმებოდა არა კარიერული ზრდის ხელშეწყობა, არამედ უნარ-ჩვევის გამომუშავება.

საბჭოს წევრი, თამარ ბრეგვაძე დაინტერესდა თუ რა იგულისხმებოდა მკვლევარ მასწავლებლისათვის ,,უნარ-ჩვევების გამომუშავებაში'' და ჰქონდა თუ არა ამასთან დაკავშირებით რაიმე სასწავლო კურსი შემუშავებული დაწესებულებას.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ყველა მასწავლებელს თავის თავში უნდა მოეაზრებინა მკვლევარიც, თითოეულს უნდა შეძლებოდა თავის დარგში პრაქტიკული კვლევის კომპონენტის, ამასთან, ცალკეულ სილაბუსებში ისეა საკითხები ჩაშლილი, რომ თავისთავად ითვალისწინებს კვლევას. პროგრამის ხელმძღვანელის განმარტებით, მას თავად ჰქონდა საწავლების მეთოდოლოგიის კვლევა ჩატარებული.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერსდა, თუ რა კვალიფიკაცია მიენიჭებოდა პირს, მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დამთავრების შემდეგ.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ აღნიშნული პროგრამა ამზადებდა პრაქტიკოს მასწავლებლებს და ინტერგირებული იყო მოდული 60 კრედიტის ოდენობით დაწყებითი განათლების საბაკალავრო პროგრამაში.

ექსპერტმა განმარტა, რომ კანონმდებლობით დასაშვებია, მასწავლებლის მომზადების 60 კრედიტიანი პროგრამის ინტეგრირება დაწყებითი განათლების საბაკალავრო პროგრამასთან, დაწესებულების მიერ დადგენილი წესის შესაბამისად. აღნიშნულ შემთხვევაში კი, დაწესებულების მიერ სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი მასწავლებლის მომზადების 60 კრედიტიანი პროგრამა იყო დამოუკიდებელი, კონკრეტულად ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის მომზადების პროგრამა, რომელიც მოიცავს როგორც ზოგად სასწავლო კურსებს (40 კრედიტი), ასევე ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მეთოდიკის მოდულს, ხოლო დაწყებითი განათლების საბაკალავრო პროგრამაში ინტეგრირებულ მასწავლებლის მომზადების მოდულში განსხვავებული სასწავლო კურსები შედიოდა. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ პროგრამის განხორციელების შედეგად გვექნებოდა მასწავლებლის მომზადების ორი განსხვავებული ფორმატისა და შინაარსის პროგრამა.

საბჭოს წევრი, თამარ ბრეგვაძე დაინეტერესდა, თუ რატომ გადაწყვიტა დაწესებულებამ აღნიშნული პროგრამის განხორციელება, მიმდინარე ცვლილებების პროცესში, როდესაც ეს პროგრამა ტრანსფორმაციას განიცდის.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ დაწესებულებას სურდა ფეხდაფეხ აჰყოლოდა ცვლილებების პროცესს და თანამონაწილე გამხდარიყო ახალ სტანდარტებზე გადასვლის.

საბჭოს წევრი, ნინო დავლაშერიძე დაინტერესდა, თუ რა პოზიცია ჰქონდა დაწესებულებას ექსპერტთა მიერ შემუშავებულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით,

რომელიც შეეხებოდა შეფასების სისტემას. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ რიგ სილაბუსებში არ იყო ჩაშლილი შეფასების სიტემა და გამოასწორეს. .

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ დაწესებულებამ წარმოადგინა არა კონკურსის შედეგების, არამედ დასაქმების კანდიდატებთან დადებული ხელშეკრულებები. ამასთან, დასძინა, რომ აკრედიტაციის მინიჭების შემთხვევაში, მეორე დღესვე მოხდება კონკურსის გამოცხადება.

დაწესებულების წარმომადგენელმა ხაზი გაუსვა იმ გარემოებებს, რომლის გათვალისწინებასაც ითხოვდა საბჭოს წევრებისაგან. კერძოდ, დაწესებულება წარმოადგენდა ახალგაზრდა უნივერსიტეტს, რომლის ფუნქციონირება ხელს შეუწყობდა რეგიონის განვითარებას. დაწესებულების ბაზაზე იგეგმებოდა საერთო საცხოვრებლის აშენება, აფხაზეთიდან ჩამოსული სტუდენტებისათვის. საჯარო მმართველობის პროგრამა მოიცავდა, 2 ახალ კურსს, რომლებიც სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებში არ ხორციელდებოდა. დაწესებულების ბიბლიოთეკაში უახლესი ლიტერატურა იყო წარმოდგენილი.

6.შპს - ქუთაისის უნივერსიტეტის სამართლის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება	სამართალი
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	სამართლის ბაკალავრი
სწავლების ენა	ქართული
კვალიფიკაციის კოდი	06
კრედიტების რაოდენობა	240

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა წარადგინა ექსპერტმა ზვიად როგავამ. მან საბჭოს გააცნო აკრედიტაციის ექსპერტების მიერ შემუშავებული რეკომენდაციები:

- პროგრამის სწავლის შედეგებით კურსდამთავრებულს შეეძლება ნორმატიული აქტის პროექტის შედგენა. აღნიშნული შედეგის უზრუნველყოფის მიზნით სასურველია სასწავლო პროგრამა ითვალისწინებდეს ისეთი სასწავლო კურსის სწავლებას, როგორიცაა „ნორმატიული აქტების სამართალი და საკანონმდებლო ტექნიკა“.
- კურსის მოცულობიდან და მნიშვნელობიდან გამომდინარე სასურველია სასწავლო კურსი „სამოქალაქო სამართლის პროცესი“ „სისხლის სამართლის პროცესის“ სასწავლო კურსის მსგავსად გაიყოს ორ ნაწილად.
- მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტს 2013-2014 წლებში შეძენილი აქვს სასწავლო პროგრამისათვის რელევანტური დამხმარე სახელმძღვანელოები და მონოგრაფიები, გასაახლებელია სასწავლო კურსებით გათვალისწინებული მთელი რიგი სავალდებულო ლიტერატურა. (მაგალითად: სასწავლო კურსებში „საავტორო სამართალი“ და „სამრეწველო საკუთრების სამართალი“ გამოყენებული უნდა იქნეს დ. ძამუკაშვილის „ინტელექტუალური საკუთრების სამართალი”, თბ. 2014 წ. (ნაცვლად, 2006 წლისა); სასწავლო კურსში „ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი“ გამოყენებული უნდა იქნეს პ. ტურავა, ნ. წკეპლაძე, ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელო, თბ., 2013 წ. (ნაცვლად 2010 წლისა); სასწავლო კურსში „სისხლის სამართლის კერძო ნაწილი I (ადამიანისა და

კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული)“ გამოყენებული უნდა იქნეს სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, თბ., 2014. (ნაცვლად 2011 წლისა) და სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი II, თბ., 2012 (ნაცვლად 2009 წლისა); სასწავლო კურსში „საერთაშორისო საჯარო სამართალი“ გამოყენებული უნდა იქნეს ლევან ალექსიძე, თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, თბ. 2013 (ნაცვლად 2010 წლისა), სასწავლო კურსში „სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი“ გამოყენებული უნდა იქნეს მ. ტურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მეცხრე გამოცემა, თბ., 2013 (ნაცვლად 2010 წლისა) და სხვა.

- სასწავლო კურსის „საერთაშორისო საჯარო სამართლის“ სილაბუსით გათვალისწინებული ცალკეული საკითხების ეფექტურად სწავლების მიზნით, ლევან ალექსიძის „თანამედროვე საერთაშორისო სამართლის“ სახელმძღვანელოს გარდა მიზანშეწონილია გამოყენებული იქნეს პიტერ მალანჩუკი, აკეჰარსტის თანამედროვე საერთაშორისო სამართალი თბ., 2005 და იან ბრაუნლი, საერთაშორისო საჯარო სამართლის პრინციპები, თბ., 2010.
- სასწავლო კურსის „ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებების“ სილაბუსით გათვალისწინებული ცალკეული საკითხების ეფექტურად სწავლების მიზნით, კ. კუბლაშვილის სახელმძღვანელოს - „ძირითადი უფლებები“-ს გარდა მიზანშეწონილია, გამოყენებული იქნეს საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, პეტიტი, თბ., 2013 (წიგნის ელ. ვერსია იხ. უზენაესი სასამართლოს ელექტრონული ბიბლიოთეკის საიტზე http://library.court.ge/)
- სასწავლო კურსი - „საარჩევნო სამართალი“ სავალდებულო ლიტერატურად ითვალისწინებს მხოლოდ საკანონმდებლო აქტების სწავლებას (საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს საარჩევნო კოდექსი, საქართველოს კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“). სასწავლო კურსის ეფექტურად წარმართვის მიზნით სასურველია სავალდებულო ლიტერატურად გამოყენებული იქნეს დამხმარე სახელმძღვანელოებიც, მაგალითად, ო. მელქაძე, საარჩევნო სამართალი. თბილისი, 2012.
- სასწავლო კურსი - „სასჯელაღსრულებითი სამართალი“ სავალდებულო ლიტერატურად ითვალისწინებს მხოლოდ საკანონმდებლო აქტების სწავლებას (საქართველოს კანონი „პატიმრობის კოდექსი“, საქართველოს კანონი „არასაპტიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“). სასწავლო კურსის ეფექტურად წარმართვის მიზნით სასურველია სავალდებულო ლიტერატურად გამოყენებული იქნეს დამხმარე სახელმძღვანელოებიც, მაგალითად, მორის შალიკაშვილი, გივი მიქანაძე, მაია (ზოია) ხასია,“ სასჯელაღსრულების სამართალი", თბ., 2014 წ.
- სასწავლო კურსების სილაბუსებში აუცილებელია სრულად (ამომწურავად) და კორექტულად მიეთითოს სასწავლო კურსის შესწავლისათვის რელევანტური საერთაშორისო ხელშეკრულები და კონვენციები, ასევე ნორმატიული აქტები. მაგალითად, საქართველოს 2011 წლის 27 დეკემბრის ორგანული კანონი - საქართველოს საარჩევნო კოდექსი, საქართველოს 2010 წლის 9 მარტის კანონი - პატიმრობის კოდექსი, „არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“ საქართველოს 2003 წლის 7 მაისის კანონი და ა.შ.
- პრაქტიკული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბების მიზნით, სასურველია სასწავლო კურსები „დაცვის ხელოვნება“, „საპროცესო უნარ-ჩვევები“, სამოქალაქო სამართლის პროცესი, ადმინისტრაციული სამართლის პროცესი, სისხლის სამართლის პროცესი შეფასებითი კომპონენტის სახით ითვალისწინებდეს იმიტირებული სასამართლო პროცესის ორგანიზებას.

- სასურველია შედარებითი სამართალმცოდნეობის საკითხების სწავლების ნაცვლად (მაგალითად, სასწავლო კურსი - შედარებითი სისხლის სამართალი) საბაკალავრო პროგრამა ითვალისწინებდეს პრაქტიკული უნარების გამომუშავებაზე მიმართული სასწავლო კურსების სწავლებას (მაგალითად, ხელშეკრულებათა შედგენის მეთოდიკა, საპროცესო დოკუმენტების შედგენა, კაზუსის ამოხსნის მეთოდიკა სისხლის სამართალში, საჯარო სამართალში და კერძო სამართალში და სხვა).
- სასწავლო კურსი „კრიმინალისტიკა" სასურველია კრიმინალისტიკური ტექნიკისა და კრიმინალისტიკური ტაქტიკის საკითხების სწავლების ნაცვლად უფრო ფართო სპექტრით ითვალისწინედეს ცალკეული სახის დანაშაულთა გახსნის მეთოდიკის საკითხების სწავლებას (ეთმობა მხოლოდ 4 სასწავლო კვირა). შესაბამისად, სასურველია აღნიშნულ სასწავლო კურსს ეწოდოს „კრიმინალისტიკა (დანაშაულთა გახსნის მეთოდიკა)."
- შრომისა და სოციალური უზრუნველყოფის სამართალი საჭიროა გაიყოს ორ დამოუკიდებელ სასწავლო კურსად. კერძო და საჯარო სამართლის საკითხების მექანიკური გაერთიანება ერთ სასწავლო კურსში მეთოდურად არაფრით არ არის დასაბუთებული. ამასთან, შრომის სამართლის სილაბუსმა სასურველია მოიცვას ისეთი საკითხების სწავლებაც როგორიცაა ევროპის სოციალური ქარტია, ასევე შრომის საერთაშორისო სამართალი და შრომის პირობებთან დაკავშირებული საერთაშორისო აქტები.
- საბაკალავრო სამართლის პროგრამის გაუმჯობესებისა და შესაბამისი კვალიფიკაციის/გამოცდილების მქონე პირთა მოზიდვის მიზნით, დაწესებულებამ სასურველია გამოაცხადოს აკადემიური თანამდებობის დაკავებისა ან/და მოწვეული პერსონალის შესარჩევი კონკურსი.
- საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსების თითოეულ სწავლის შედეგთან სასურველია აღნიშნული იყოს ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოთი განსაზღვრული კვლიფიკაციათა თითოეული აღმწერი, მაგალითად: „ცოდნა და გაცნობიერება"....; „ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი".....;
- წარმოდგენილი სილაბუსების შეფასების სისტემით განსაზღვრული ქულათა განაწილება სასურველია იყოს უფრო ნათელი და გამჭვრივალე, კერძოდ, აუდიტორული მუშაობის/აქტივობისათვის განკუთვნილი 15 ქულა, თავად ამ ქულის რაოდენობა იყოს პირდაპირ განაწილებული განსაზღვრულ კრიტერიუმებზე ან/და მითითებულ 15 ქულას სტუდენტი აგროვებდეს დამოუკიდებელ 100%-დან გამოანგარიშებით, რომლის დროსაც თითოეულ კრიტერიუმს (პრეზენტაცია, საშინაო დავალება, კვიზი, ტესტი) განსაზღვრული ექნება საკუთარი წილი 100%-დან იმავე /15ქული-დან.
- პროფესიულ პრაქტიკის ეფექტურად განხორციელების მიზნით სასურველია, დაწესებულებამ გააფართოვოს პრაქტიკის ობიექტები ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების, სამართალდამცავი ორგანოების, სასამართლო ორგანოების, საადვოკატო და სანოტარო ბიუროებისა და ა.შ. ხარჯზე.

ექსპერტმა დააფიქსირა სკეპტიკური დამოკიდებულება სამართლის პროგრამების რეგიონებში კვალიფიციურად განხორციელებასთან დაკავშირებით. მისი აზრით, რეგიონებში იყო ადგლობრივი კვალიფიციური კადრების დეფიციტი, რაც ეჭვქვეშ აყენებდა პროგრამის შედეგზე გასვლას.

თავმჯდომარემ ითხოვა ამავე უნივერსიტეტის მეორე პროგრამის დასკვნის წარდგენა.

7.შპს - ქუთაისის უნივერსიტეტის ზოგადი ბიზნესის ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება	ზოგადი ბიზნესი
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი
სწავლების ენა	ინგლისური
კვალიფიკაციის კოდი	02
კრედიტების რაოდენობა	240

ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები საბჭოს გააცნო ექსპერტმა მაია გონაშვილმა:

- რეკომენდებულია ცალკეულ სასწავლო კურსებში გადამოწმდეს თემების და მასალების თანმიმდევრობა, სასურველია ზოგიერთი საგნის თემატიკის დახვეწა და დეტალური აღწერა, რომ არ მოხდეს თემების მიხედვით საკითხების გამეორება (მაგ. მაკროეკონომიკა მე-3 და მე-15 კვირა-ინფლაცია); ასევე რეკომენდირებულია მარკეტინგის შესავალში ისწავლებოდეს მითითებული წიგნის ძირითადი საკითხები (და არა მხოლოდ 1-6 და 18-20 თავები), ხოლო შემდგომ მარკეტინგის კონტექსტში უკვე გაძლიერებულად ხდებოდეს საგნისთვის განკუთვნილი საკითხების შესწავლა (და არა ისე, რომ მარკეტინგის ძირითადი თემები ნაცვლად ამ საგნისა შედიოდეს მარკეტინგის კომპლექსში).
- რეკომენდირებულია ისწავლებოდეს სტრატეგიული მენეჯმენტი და ოპერატიული მენეჯმენტი.
- სასურველია შეფასების სისტემის სრულყოფა. მართალია ყველა სილაბუსი მოიცავს შუალედურ და დასკვნით შეფასებებს და მათ კრიტერიუმებს, მაგრამ ხშირ შემთხვევაში ქულის გამოთვლა ხდება არა პირდაპირ პროცენტულად, არამედ ესა თუ ის აქტივობა, რომელიც გარკვეული ქულით ფასდება, შემდგომ ამ ქულის გამოყოფილ ქულასთან მიმართებაში პროპორციით. (მაგ. აქტივობა ფასდება მაქსიმუმ 15 ქულით, რომელიც მოიცავს 10 ღია კითხვებს ერთ ქულიანს და 10 ტესტს ასევე ერთქულიანს, ჯამში 20 ქულა. და შემდგომ ეს 20 ქულა ითვლება პროპორციით 15 ქულასთან მიმართებაში. აჯობებდა ტესტის შეფასება მომხდარიყო პირდაპირ 0.5 ქულით და სტუდენტისთვისაც და ლექტორისთვისაც გამარტივდებოდა საბოლოო ქულის დათვლა და უფრო გასაგები გახდებოდა, პირდაპირი ჯამი მაქსიმუმ 15 ქულა). ასევე საბაკალავრო ნაშრომის შეფასების გაწერილ კრიტერიუმებს დაემატოს შეფასება 0, როცა თითოეული კრიტერიუმი საერთოდ არ სრულდება.
- რეკომენდირებულია საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსში შედეგები გაიწეროს კომპეტენციების მიხედვით.
- სასურველია სილაბუსებში ჩანდეს თუ რომელი აქტივობა უნდა შეასრულოს სტუდენტმა და რამდენ ქულიანია, რათა მათ წინასწარ ქონდეთ ინფორმაცია და დაგეგმონ დასწრება არ დასწრების და შეფასების განრიგი.
- სასურველია სილაბუსებში უნივერსიტეტში არსებული სტანდარტის მიხედვით მიეთითოს არამხოლოდ ძირითადი გამოცდების კვირების რაოდენობა, არამედ დამატებითი გამოცდების ვადებიც/კვირებიც.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მისცა მოსაზრებების გამოთქმის საშუალება.

სამართლის პროგრამის ხელმძღვანელმა, ელენე გვენცაძემ, ექსპერტებს მადლობა გადაუხადა და აღნიშნა, რომ რეკომენდაციების დიდ ნაწილს იზიარებდა, ნაწილზე კი საკუთარი მოსაზრება ჰქონდა. კერძოდ, კურსების - ნორმატიული აქტების სამართლისა და საკანონმდებლო ტექნიკის დამატებასთან დაკავშირებით, მან განაცხადა, რომ კონსტიტუციური სამართლის სილაბუსში, რამდენიმე კვირის განმავლობაში, ჯგუფურ სამუშაოში იყო გათვალისწინებული აღნიშნული საკითხები - ნორმატიული აქტის პროექტის მომზადებისა და სამართლებრივი ექსპერტიზის სახით, რაც , უზრუნველყოფდა შესაბამისი სტრატეგიული უნარ-ჩვევების გამომუშავებას.

მეორე რეკომენდაციასთან მიმართებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ იზიარებდა და ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფს. ლიტერატურასთან დაკავშირებულ რეკომენდაციებზე, სამართლის პროგრამის ხელმძღვანელმა - ელენე გვენცაძემ აღნიშნა, რომ ბიბლიოთეკაში ნამდვილად არსებობდა ახალი სახელმძღვანელოები და შესაბამისად, განახლდებოდა სილაბუსები, ასევე შესაძლებელი იყო პრაქტიკული სამართლის საგნებში იმიტირებული სასამართლო პროცესების დაგეგმვა. მან განაცხადა, რომ ცალკეული დოკუმენტების შედგენის სწავლება გათვალისწინებული იყო სხვადასხვა სასწავლო კურსში, თუმცა, ბოლო რეკომენდაციების თანახმად, შესაძლებლად მიაჩნდა მათი ცალკე გამოტანაც.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ლელა ქელბაქიანმა, აღნიშნა, რომ დასავლეთ საქართველოში ეს იყო პირველი უნივერსიტეტი, ვინც სამართლისა და ბიზნესის პროგრამები განახორციელა. მათი კურსდამთავრებულები მაღალ თანამდებობებს იკავებდნენ და ბევრი მემორანდუმი ჰქონდა უნივერსიტეტს გაფორმებული სხვადასხვა სტრუქტურასთან. ლელა ქელბაქიანმა განაცხადა, რომ თვითონ იყო საკრებულოს თავმჯდომარე და აკრედიტაციის შემთხვევაში, კიდევ უფრო მეტ პარტნიორ ორგანიზაციას მოიზიდავდა, მათ შორის, პარლამენტიდან, ასევე მიმდინარეობდა მოლაპარაკებები ვიწრო სპეციალიზაციის მქონე იურისტებთან. მან აღნიშნა, სამართლის მიმართულებით უნივერსიტეტში იყო ხუთი ასოცირებული პროფესორი, ხოლო ბიზნესის მიმართულებით დაწესებულება თანამშრომლობდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან და იზიარებდა მის გამოცდილებასა და რეკომენდაციებს. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასების სისტემასთან დაკავშირებული რეკომენდაციები გათვალისწინებული იქნებოდა და ამ მექანიზმს გაამარტივებდნენ უნივერსიტეტში.

საბჭოს წევრმა, ნანა ცერცვაძემ იკითხა, თუ როგორი იყო მოთხოვნა და სად დასაქმდებოდნენ ბიზნესის მიმართულების სტუდენტები.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ პროგრამა განკუთვნილი იყო უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის და მოთხოვნა არსებობდა.

საბჭოს წევრმა, მაია მიქაშავიძემ აღნიშნა, რომ ინგლისურენოვან პროგრამებში პრობლემა იკვეთებოდა კადრების კუთხით, რადგან ლექტორებს უჭირდათ ინგლისურ ენაზე სწავლება და დაინტერესდა პერსონალის გამოცდილებით უშუალოდ ინგლისურად სწავლების კუთხით.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ უნივერსიტეტში ენობრივი ბარიერის პრობლემა არ არსებობდა და უკვე ხორციელდებოდა ინგლისურენოვანი პროგრამა. ასევე, გათვალისწინებული იყო ერთი სემესტრის გატარება ერასმუსის პროგრამის ფარგლებში.

საბჭოს წევრი, თამარ ზარანდია დაინტერესდა რა თანაფარდობა არსებობდა ადგილობრივ და მოწვეულ კადრებს შორის.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ სამართლის მიმართულებით იყო ხუთი პროფესორი, სამი მოწვეული და ორი ადგილობრივი, ასევე 15 მოწვეული ადგილობრივი სპეციალისტი. მან აღნიშნა, რომ უნივერსიტეტი ცდილობდა, მაქსიმალურად

ჩაერთო მოქმედი იურისტები, მოსამართლეები, ნოტარიუსები, პროკურორები და ეს რესურსი ხელმისაწვდომი იყო მათთვის. ბიზნესის მიმართულებით კი 6 ადგილობრივი და 6 მოწვეული კადრი ჰყავდათ.

საბჭოს სხდომაზე 15:40 საათზე გამოცხადდა შესვენება. სხდომა განახლდა 16:21 საათზე.

სხდომა დატოვა საბჭოს წევრმა - თამარ ზარანდიამ.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ შემოსული იყო თინანო თევზაძის განცხადება, რომელსაც შპს ევროპის სასწავლო უნივერსიტეტთან საერთაშორისო ურთიერთობებისა და ფსიქოლოგიის პროგრამებზე დავა ჰქონდა ინტელექტუალურ საკუთრებაზე. საბჭოს თავმჯდომარემ, გიორგი კამკამიძემ განაცხადა, რომ აღნიშნული პროგრამების შეფასება ექსპერტთა ჯგუფის მიერ არ მომხდარა, შესაბამისად არ არსებობდა დასკვნა, რის გამოც, აღნიშნული განცხადება არ იყო რელევანტური და არ ექვემდებარებოდა განხილვას.

საბჭოს თავმჯდომარემ გამოაცხადა მიღებული გადაწყვეტილებები:

- შპს სასწავლო უნივერსიტეტ ევროპული აკადემიის სამართლის საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია (მომხრე-5; წინააღმდეგი -1); ამასთან, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს დაევალოს, ერთი წლის განმავლობაში შეამოწმოს აღნიშნული პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა.
- სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სამართლის საბაკალავრო პროგრამას უარი ეთქვას აკრედიტაციაზე (მომხრე - 0; წინააღმდეგი - 7);
- სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტს უარი ეთქვას საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციაზე (მომხრე - 0; წინააღმდეგი -7);
- სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის დაწყებითი განათლების საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია (მომხრე - 5; წინააღმდეგი - 2);
- სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამას უარი ეთქვას აკრედიტაციაზე (მომხრე - 0; წინააღმდეგი - 7);
- შპს ქუთაისის უნივერსიტეტის სამართლის საბაკალავრო პროგრამას უარი ეთქვას აკრედიტაციაზე (მომხრე - 0; წინააღმდეგი - 7);
- შპს ქუთაისის უნივერსიტეტის ზოგადი ბიზნესის ინგლისურენოვან საბაკალავრო პროგრამას უარი ეთქვას აკრედიტაციაზე (მომხრე - 1; წინააღმდეგი - 6).

გიორგი კამკამიძემ შპს ქუთაისის უნივერსიტეტის სამართლის საბაკალავრო პროგრამასა და ზოგადი ბიზნესის ინგლისურენოვან საბაკალავრო პროგრამასთან დაკავშირებით განმარტა, რომ ექსპერტთა დასკვნებისა და ზეპირი მოსმენის საფუძველზე საბჭო ვერ დარწმუნდა აღნიშნული პროგრამების სტანდარტებთან შესაბამისობაში. ამასთან, საბჭომ არსებითად მიიჩნია ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული შეფასებები, კერძოდ:

- სამართლის საბაკალავრო პროგრამასთან დაკავშირებით, საჭომ ხარვეზად მიიჩნია ლიტერატურასთან დაკავშირებული რეკომენდაცია, რის მიხედვითაც უნდა განახლებულიყო სასწავლო კურსებით გათვალისწინებული მთელი რიგი სავალდებულო ლიტერატურა, რაც ეწინააღმდეგება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" IV თავის მე-16 მუხლის „დ" ქვეპუნქტს;
- კვალიფიკაციის/გამოცდილების მქონე პირთა აკადემიური ან/და მოწვეული პერსონალის მოზიდვის მიზნით კონკურსის გამოცხადების საჭიროება, რაც ეწინააღმდეგება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" IV თავის მე-16 მუხლის „გ" ქვეპუნქტს.

ზოგადი ბიზნესის ინგლისურენოვან საბაკალავრო პროგრამასთან დაკავშირებით საბჭოს სხდომაზე დამატებით გამოვლენილი გარემოებების შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე საბჭომ მიიჩნია, რომ დაწესებულებას ინგლისურენოვანი პროგრამის განსახორციელებლად არ გააჩნდა შესაბამისი ადამიანური რესურსი, რომელსაც შეეძლო ინგლისურ ენაზე სწავლების განხორციელება.

8.შპს - ევროპის სასწავლო უნივერსიტეტის სამართლის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება:	სამართალი
განათლების საფეხური:	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია:	სამართლის ბაკალავრი
სწავლების ენა:	ქართული/ინგლისურენოვანი კომპონენტებით
კვალიფიკაციის კოდი:	06
კრედიტების რაოდენობა:	240

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა და რეკომენდაციები თეა ნადირაძემ წარადგინა:

- სილაბუსებში სწავლის შედეგები გაიწეროს მკაფიოდ და ნათლად, რომლის მიღწევაც უპირობოდ დადასტურდება შეფასების სიტემით;
- სილაბუსებში სწავლის შედეგის შესაბამისად ჩამოყალიბდეს შეფასების მეთოდები და მათი კრიტერიუმები;
- პროგრამით განსაზღვრული შეფასების სისტემა, რომელიც განსაზღვრავს საერთო წესს მხოლოდ ერთი შუალედური შეფასების გამოცდით შეზღუდვა შეიცვალოს და აკადემიურ პერსონალს უფრო მეტი თავისუფლება მიეცეს შეფასების კომპონენტების განსაზღვრაში, კონკრეტულად სილაბუსებში;
- სწავლების/სწავლის მეთოდები განისაზღვროს თუნინგის მასალებისა და რეკომენდაციების მიხედვით.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ საგანი - სამართლებრივი ინგლისური წარმოდგენილი იყო არჩევით ბლოკში, როცა სამართლის დარგობრივი მახასიათებელი განსაზღვრავდა უცხო ენაზე წერილობითი და ზეპირი მეტყველების გამომუშავების უნარს, შესაბამისად, აღნიშნული კურსი, არჩევითი საგნის სტატუსის გამო ვერ უზრუნველყოფდა პროგრამის

მიზნის მიღწევას, ამიტომ კურსი უნდა გადატანილიყო სავალდებულო საგნებში. უკეთესი იქნებოდა სამართლებრივი ინგლისურის ნაცვლად განისაზღვროს სხვა დასახელება, მაგალითად - დარგობრივი ინგლისური.

სასწავლო კვირები მოიცავდა ლექციებს, სემინარებს, ჯგუფში მუშაობას, თუმცა სასწავლო კურსის შინაარსის გრაფაში საათები განაწილებული იყო მხოლოდ ლექციასა და სემინარზე

პროგრამით გათვალისწინებული იყო სასწავლო კურსის პრეზენტაციის უნარ-ჩვევების სწავლება, რომელიც არ შეიძლებოდა ყოფილიყო არჩევითი კურსის სახით წარმოდგენილი.

სასწავლო კურსში - სახელშეკრულებო სამართალი, ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების ნაწილში მითითებული იყო ხელშეკრულების პროექტის მომზადება, თუმცა შეფასების მეთოდებით, რომელიც მოიცავდა სემინარზე აქტივობას, დისკუსიას, კაზუსის ამოხსნას, ვერ დადასტურებდა სწავლის შედეგების მიღწევა.

9.შპს - ევროპის სასწავლო უნივერსიტეტის საერთაშორისო სამართლის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება:	საერთაშორისო სამართალი
განათლების საფეხური:	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია:	საერთაშორისო სამართლის ბაკალავრი
სწავლების ენა:	ქართული
კვალიფიკაციის კოდი:	0602
კრედიტების რაოდენობა:	240

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წევრებს რევაზ ხოფერიამ გააცნო. მან სამ ძირითად საკითხზე გაამახვილა ყურადღება - დაშვების წინაპირობა, მატერიალური რესურსი და ადამიანური რესურსი. დაშვების წინაპირობასთან დაკავშირებით, ექსპერტმა აღნიშნა, რომ უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის მობილობის შემთხვევაში შემუშავებული იყო წესი, რომელიც აღარ მოქმედებდა უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში, რაც სავარაუდოდ ტექნიკური ხარვეზი იყო.

მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით, რევაზ ხოფერიამ განმარტა, რომ ექსპერტებმა ბიბლიოთეკაში ვერ მოიპოვეს რამდენიმე წიგნი, რომელიც სილაბუსებში დამატებით ლიტერატურის ნაწილში იყო მითითებული.

ადამიანურ რესურსთან დაკავშირებით, ექსპერტმა აღნიშნა, რომ კვალიფიკაციასთან დაკავშირებით არ იყო შენიშვნები, უბრალოდ გასაუბრების დროს აღმოჩნდა, რომ ზოგიერთი ლექტორი არ იცნობდა შეფასების სისტემას, რაც გათვალისწინებული იყო მის სილაბუსში.

რევაზ ხოფერიამ წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაცია:

- მიზანშეწონილია, დაწესებულებამ გადახედოს სასწავლო კურსების სილაბუსებით გათვალისწინებულ დაშვების წინაპირობებს.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მისცა მოსაზრების გამოთქმის საშუალება.

სამართლის პროგრამის ხელმძღვანელმა, თეა ჯუღელმა აღნიშნა, რომ ინგლისურ ენასთან დაკავშირებულ რეკომენდაციას ითვალისწინებდნენ და განმარტა, რომ მათ სურდათ სტუდენტებისთვის შეეთავაზებინათ სამართლებრივი ფრანგული ან გერმანული.

შემდეგ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ სამუშაო ჯგუფი და პრაქტიკული მეცადინეობა, ამ პროგრამის ფარგლებში განიხილებოდა იდენტური შინაარსის მქონე ფორმებად, სადაც სტუდენტი შესაბამისად ფასდებოდა.

პროექტის პრეზენტაციასთან დაკავშირებით, თეა ჯუღელმა განმარტა, რომ ეს იყო მნიშვნელოვანი საგანი მათთვის, ვისაც სურდა გამოემუშავებინა პრეზენტაციის ჩატარებისთვის საჭირო უნარ-ჩვევები და წარმოდგენილი იყო თავისუფალი არჩევითი კრედიტის სახით.

ექსპერტმა, თეა ნადირაძემ აღნიშნა, რომ მართლაც მნიშვნელოვანი საგანი იყო და საჭირო უნარებს გამოუმუშავებდა, უბრალოდ საკმაოდ გვიან, მე-7 სემესტრში ისწავლებოდა. დაწესებულების წარმომადგენელმა, მაია ხურცილავამ განმარტა, რომ თავიდან ეს კურსი მოიაზრებოდა, როგორც საუნივერსიტეტო სავალდებულო საგანი, თუმცა აზრთა სხვადასხვაობის გამო, გადატანილ იქნა ბოლო სემესტრებში.

გამოკითხვის ფორმებთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა, მაია ხურცილავამ აღნიშნა, რომ ეს აკადემიური თავისუფლების საკითხი იყო და ლექტორები საკუთარი შეხედულებისამებრ იყენებდნენ გამოკითხვის მეთოდებს. დაწესებულების მხრიდან არსებობდა რეკომენდაცია, რომ ყოფილიყო ერთი შუალედური, ხოლო მეორე შუალედურის საკითხს, თავად ლექტორები წყვეტდნენ.

დაწესებულების წარმომადგენელმა, იოსებ კელენჯერიძემ აღნიშნა, რომ დამხმარე ლიტერატურის ნაწილი იძებნებოდა ბიბლიოთეკაში. ხოლო პერსონალთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანი იყო მათი კვალიფიკაცია, პრაქტიკული გამოდცილება და ის, რომ ზოგიერთ მათგანს შეიძლებოდა, არ ხსომებოდა, ქვიზი რამდენი ქულით ფასდებოდა, იმით იყო განპირობებული, რომ დეტალები ხარისხის სამსახურთან ერთად შემუშავდა.

საბჭოს წევრი, თამარ ბრეგვაძე, დაინტერესდა ხარისხის შეფასების სისტემით.

დაწესებულების წარმომადგენელმა, მაია ხურცილავამ უპასუხა, რომ ხარისხის სამსახურში შემუშავებული იყო შესაბამისი ინსტრუქცია, ხდებოდა სტუდენტების, დამსაქმებლების, აკადემიური და მოწვეული პერსონალის გამოკითხვა. შრომის ბაზრის შესწავლასთან დაკავშირებით ჩართულები იყვნენ არასამთავრობო ორგანიზაციები, მაგალითად „საია“.

საბჭოს წევრმა, თამარ ბრეგვაძემ იკითხა, რა კეთდებოდა პროგრამისა და უნივერსიტეტის დონეზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ევროპის სასწავლო უნივერსიტეტი მუშაობდა ინტერნაციონალიზაციაზე, პროფესორებს ხარისხი მოპოვებული ჰქონდათ საზღვარგარეთ. ხოლო პროგრამების შეფასებისას გამოიყენებოდა სპეციალური კითხვარები, თუმცა არ იქნებოდა სწორი, მაგალითად ფარმაციის მიმართულებით, სადაც 3 სტუდენტი ირიცხებოდა, გამოკითხვის შედეგების განზოგადება. 89 სტუდენტი მიღებული იყო ზაფხულის მობილობით, კითხვარები შემუშავებული ჰქონდათ და შეფასება კურსის ბოლოს ჩატარდებოდა.

10.შპს - ევროპის სასწავლო უნივერსიტეტის ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება:	ინგლისური ფილოლოგია
განათლების საფეხური:	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია:	ინგლისური ფილოლოგიის ბაკალავრი
სწავლების ენა:	ქართული/ინგლისური კომპონენტებით
კვალიფიკაციის კოდი:	100502
კრედიტების რაოდენობა:	240

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა ეკატერინე ბაკარაძემ წარადგინა. მან აღნიშნა პროგრამის დადებითი მხარეები - ენისა და ლიტერატურის ელემენტების თანაბარი გადანაწილება, მოქნილი სისტემა. ექსპერტმა განაცხადა, რომ ენობრივი კომპეტენციის მიღწევა ხორციელდებოდა C1 დონეზე, ასევე, დაწესებულება სტუდენტებს სთავაზობდა მეორე ენას - გერმანულის ან ფრანგულის სახით B2 დონეზე. დასტურდებოდა პერსონალის კვალიფიკაცია და პრაქტიკული გამოცდილება, დაინტერესებული პირების ჩართულობა პროგრამაში. მან აღნიშნა, რომ ინტერნაციონალიზაცია კარგად იყო წარმოდგენილი, არსებობდა შესაბამისი მემორანდუმები, მონაწილეობდა რამდენიმე ქვეყანა.

ეკატერინე ბაკარაძემ საბჭოს წევრებს გააცნო ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები:

- ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა ითვალისწინებს საბაკალავრო ნაშრომს 10 კრედიტის მოცულობით, რომელსაც აქვს შესაბამისი სილაბუსი და ფიქსირდება საუნივერსიტეტო რეგულაციებშიც. სასურველია, დაზუსტდეს საბაკალავრო ნაშრომზე დაშვების წინაპირობა, ნაცვლად 'ინგლისური ფილოლოგიის შესავლისა' და 'ინგლისური ენის კომპონენტებისა (1-7)', მითითებული იყოს შვიდი სემესტრის განმავლობაში სრულად ათვისებული სასწავლო კურსები;
- პროგრამის უფრო მეტი მოქნილობისათვის და ასევე სტუდენტებისთვის მეტი არჩევანისათვის უმჯობესი იქნებოდა ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამაში გათვალისწინებული ყოფილიყო უფრო მეტი არჩევითი ენა (მაგ: გერმანული, ესპანური, თურქული...)
- საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსში გაწერილია ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო ნაშრომის კონკრეტული თემატიკა. სასურველია, სტუდენტს მიეცეს არჩევანის თავისუფლება, რათა მან თავად განსაზღვროს და აირჩიოს საბაკალავრო ნაშრომის სათაური და თემატიკა წინასწარი შეთავაზების გარეშე.
- ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამაში შეთავაზებულია თარგმანის თეორია და პრაქტიკა, უმჯობესი იქნებოდა შეთავაზებული ყოფილიყო ასევე თანმიმდევრული თარგმანის შესავალი, სინქრონული თარგმანის შესავალი ან პრაქტიკული /დარგობრივი თარგმანის კომპეტენციის განმავითარებელი სასწავლო კურსები, მითუმეტეს, დასაქმების სფეროებში მითითებულია, რომ კურსდამთავრებული შეძლებს ახალი ამბებისა და საინფორმაციო სამსახურებში დასაქმებას.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მისცა მოსაზრებების გამოთქმის საშუალება.

დაწესებულების წარმომადგენელმა, მაია ხურცილავამ აღნიშნა, რომ საბაკალავროსთან დაკავშირებული შენიშვნა ტექნიკური ხასიათის იყო, გამორჩენილიყო სემესტრი, რაც დაკორექტირდა. მან განაცხადა, რომ იზიარებდნენ ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციებს და ხარისხის სამსახურის მიერ შემუშავებულ დასკვნაშიც იყო ასახული,

რომ უცხო ენის არჩევითობა მრავალფეროვანი უნდა ყოფილიყო, ბიზნესადმინისტრირების სტუდენტებს შეთავაზებული ჰქონდათ ასევე ესპანური ენა. მაია ხურცილავამ აღნიშნა, რომ დაწესებულებამ ავტორიზაცია ზაფხულში გაიარა და გათვალისწინებული იყო ავტორიზაციის ექსპერტების მიერ შემუშავებული რეკომენდაციები.

საბჭოს წევრმა, მაია მიქაშავიძემ დაწესებულების წარმომადგენლებს კითხვით მიმართა, რა კონტინგენტს ელოდებოდნენ და თუ ჰქონდათ დასაქმების გეგმა.
დაწესებულების წარმომადგენელმა, მაია ხურცილავამ აღნიშნა, რომ 30 სტუდენტის მიღებას გეგმავდნენ, თუმცა პრაქტიკაზე გაყოფდნენ ორ 15-კაციან ჯგუფად. მან განაცხადა, რომ მატერიალურ რესურსზე მაქსიმალურად იმუშავეს, პერსონალიც მაღალკვალიფიციური იყო, დაწესებულებაში ფუნქციონირებდა ენების ცენტრი.
საბჭოს წევრმა, ნიკოლოზ ალექსიძემ იკითხა, რატომ იყო მითითებული ქართველი ავტორების მიერ შექმნილი სახელმძღვანელოები, ხოლო უცხოელი ავტორების - მხოლოდ დამატებით ლიტერატურაში.

დაწესებულების წარმომადგენელმა, მაია ხურცილავამ ამასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ბაკალავრიატის საფეხურზე, I-II კურსზე სტუდენტებს უჭირდათ ინგლისურენოვანი წიგნების ათვისება.

ექსპერტმა, ეკატერინე ბაკარაძემ დაამატა, რომ დარგში არსებობდა ქართველი ავტორების წიგნები, ანუ ქართველები წერდნენ ინგლისურენოვან სახელმძღვანელოებს.
დაწესებულების რექტორმა, ლაშა კანდელაკიშვილმა აღნიშნა, რომ არსებობდა ინგლისურენოვანი წიგნები, რომლის რიდერები ჰქონდა შექმნილი აკადემიურ პერსონალს.
საბჭოს წევრი, მაია მიქაშავიძე დაინტერესდა პროგრამის წინაპირობით.
დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ სტანდარტული წინაპირობა იყო.

დაწესებულების რექტორმა, ლაშა კანდელაკიშვილმა აღნიშნა, რომ სკოლიდან მოდიოდნენ დაბალი ენობრივი კომპეტენციის მქონე ბავშვები და თითქმის ნულიდან უწევდა უნივერსიტეტს ენის სწავლება.

საბჭოს წევრმა, მაია მიქაშავიძემ, აღნიშნა, რომ იგივე პრობლემა არსებობდა მაგისტრატურის საფეხურზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა, მაია ხურცილავამ განაცხადა, რომ მათი აზრით, ისინი მიაღწევდნენ შედეგს.

11.შპს - ევროპის სასწავლო უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება:	დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია:	დიპლომირებული მედიკოსი
სწავლების ენა:	ინგლისური
კვალიფიკაციის კოდი:	090101
კრედიტების რაოდენობა:	360

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა ხათუნა საგანელიძემ წარადგინა. მან აღნიშნა, რომ პროგრამა აკმაყოფილებდა ყველა სტანდარტს, თუმცა ვიზიტის პერიოდში შევიდა გარკვეული ცვლილებები, რაც უკვე ასახული და დამტკიცებული იყო დოკუმენტურად.
ექსპერტმა საბჭოს წევრებს გააცნო ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები:

- სასურველი იქნებოდა, სასწავლო კურსის „ექიმის მოღვაწეობის იურიდიული საფუძვლები“ არჩევითიდან ძირითად სასწავლო კურსად გადატანა.
- სასურველია, დაკორექტირდეს რიგ სასწავლო კურსების შედეგებში კომპეტენცია - ცოდნა-გაცნობიერების შინაარსი.
- სასურველია, გადაიხედოს რამდენიმე სასწავლო კურსის წინაპირობები.
- კლინიკური უნარ-ჩვევების განმავითარებელი სასწავლო კურსებისთვის შუალედურ და დასკვნით გამოცდებზე უმჯობესია შეფასდეს სტუდენტის მიერ გამომუშავებული პრაქტიკული უნარ-ჩვევები და გამოცდა არ ჩატარდეს ტესტირების ფორმატში.

საბჭოს თავმჯდომარე, გიორგი კამკამიძე დაინტერესდა წიგნადი რესურსის არსებობით.

ექსპერტმა, ხათუნა საგანელიძემ, აღნიშნა, რომ ბიბლიოთეკაში არსებობდა ძვირადღირებული წიგნები, დაწესებულებას ჰქონდა ასევე ელექტრონული ვერსიები.

საბჭოს თავმჯდომარემ, გიორგი კამკამიძემ იკითხა, თუ რამდენად ლეგალურად იყო მოპოვებული ელექტრონული ფონდი.

დაწესებულების რექტორმა, ლაშა კანდელაკიშვილმა განაცხადა, რომ გამოწერილი ჰქონდა უნივერსიტეტს აღნიშნული რესურსი.

დაწესებულების წარმომადგენელმა, მაია ხურცილავამ აღნიშნა, რომ ვიზიტის დროს გადამოწმდა პირველადი შესყიდვა.

ექსპერტმა, ხათუნა საგანელიძემ აღნიშნა, რომ სამედიცინო პრაქტიკა გათვლილი იყო ბოლო სემესტრებზე. კლინიკებთან იყო გაფორმებული მემორანდუმები სტუდენტები მუშაობდნენ ზედამხედველის მეთვალყურეობის ქვეშ, რათა მიეღოთ საჭირო განმარტებები.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ იზიარებდნენ მიღებულ რეკომენდაციებს და გააკეთა კომენტარი ზოგიერთ მათგანზე:

ექიმის მოღვაწეობის იურიდიული საფუძვლები არის მნიშვნელოვანი საკითხი, თუმცა მისი ცალკეული კომპონენტები სხვა სილაბუსებში იყო გათვალისწინებული. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, ორიენტაცია უნდა აეღოთ შედეგზე და მათ მიერ გამოყენებული მოდელი იყო ყველაზე რეალისტური და აუცილებელი პრაქტიკული სამედიცინო სწავლების მხრივ.

პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამოცდასთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ საგნობრივად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდის მოდელი ძალიან მნიშვნელოვანი იყო და უნდა დამდგარიყო მისი მაღალ დონეზე შემოწმების საკითხი, რათა რესურსები სწორად განაწილებულიყო.

საბჭოს თავმჯდომარე, გიორგი კამკამიძე დაინტერესდა სამიზნე ჯგუფით.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ პროგრამა გათვლილი იყო ინდოეთის, პაკისტანის დაახლოებით 100-150 სტუდენტზე. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ორჯერ შედგა შეხვედრა ინდოეთის ელჩთან, რის შემდეგაც გაირკვა, რომ მათი ინტერესი იმით იყო გამოწვეული, რომ დიდ ქვეყნებს წარმოადგენდნენ და არ ყოფნიდათ საგანმანათლებლო რესურსი, საქართველოში სწავლება მათთვის მისაღები იყო ხარისხით, ადგილმდებარეობითა და ფასით.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა ძირითადი კლინიკური ბაზებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ისინი თანამშრომლობდნენ თბილისის ცენტრალურ კლინიკურ საავადმყოფოსთან, კიბოს კვლევის ცენტრთან და ა.შ.

12. შპს სასწავლო უნივერსიტეტ გეომედის ჯანდაცვის ეკონომიკისა და მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა

პროგრამის დასახელება	ჯანდაცვის ეკონომიკა და მენეჯმენტი
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	240
კვალიფიკაციის კოდი	02

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა წარადგინა თამარ ვალიშვილმა. მან საბჭოს წევრებს ექსპერტების მიერ შემუშავებული რეკომენდაციები გააცნო:

- პროგრამების შესახებ ინფორმაცია და უნივერსიტეტის რეკომენდაცია განთავსებული იყო ვებგვერდზე, თუმცა მათი უმრავლესობის სანახავად საჭირო იყო პაროლის შეყვანა, რაც ართულებდა სხვა დაინტერესებულ პირთათვის მაგ: აბიტურიენტისათვის საჭირო ინფორმაციის მიღებას დისტანციურად. ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაცია უნდა ყოფილიყო მისაწვდომი ყველა დაინტერესებული პირისათვის.
- სასურველი იქნებოდა წიგნადი ფონდის განახლება თანამედროვე დარგობრივი ლიტერატურით.
- სასურველი იქნებოდა ინვენტარის, ლაბორატორიული ხელსაწყოების, სასწავლო მასალების განახლება და თანამედროვე საინფორმაციო - საკომუნიკაციო საშუალებებით აღჭურვა.
- მიზანშეწონილი იქნებოდა გადახედილიყო ინგლისური ენის სილაბუსის შინაარსობრივი ნაწილი, დახვეწილიყო და გაშლილიყო ბაკალავრების საწყისი დონის გათვალისწინებით.

ექსპერტმა განაცხადა, რომ შემოწმებულ იქნა სასწავლო უნივერსიტეტ გეომედის ხუთი პროგრამა.

სხდომის თავმჯდომარემ ექსპერტს ჰკითხა, თუ რა იგულისხმებოდა ინგლისურ ენასთან დაკავშირებულ რეკოემდაციაში და თავად ჯანდაცვის ეკონომიკა და მენეჯმენტი რამდენად მიაჩნდა მას საბაკალავრო მიმართულებად, გამომდინარე იქიდან, რომ წარმოადგენდა ვიწრო დარგს.

ექსპერტმა განაცხადა. რომ აღნიშნული სპეციალიზაცია არსებობდა კვალიფიკაციათა ჩარჩოში და კურსდამთავრებულებს ენიჭებოდათ ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის კვალიფიკაცია.

სხდომის თავმჯდომარე დაინტერესდა არსებობდა თუ არა დაწესებულებაში პრევენციული მედიცინის ან საზოგადოებრივი ჯანდაცვის მიმართულების საბაკალავრო პროგრამები.

ექსპერტმა განაცხადა რომ ასეთი პროგრამები არ ხორციელდებოდა და იყო მხოლოდ აღნიშნული პროგრამა, რომელიც მოქმედებდა 7 წლის მანძილზე. ყველა პროგრამა, გარდა ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის სამაგისტრო პროგრამისა, იყო მოქმედი.

სხდომის თავმჯდომარე დაინტერესდა, რამდენად აუცილებელი იყო ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის სპეციალისტს გაევლო სამაგისტრო საფეხურიც, უფრო მარტივი ხომ არ იქნებოდა ბაკალავრიატის დასრულების შემდგომ სტუდენტი დაკავებულიყო პრაქტიკული აქტივობით. საბჭოს თავმჯდომარე ასევე დაინტერესდა რეაბილიტაციისა და სტომატოლოგიის პროგრამების კლინიკური ბაზებითა და დასაქმების პერსპექტივით ჯანდაცვის ეკონომიკისა და მენეჯმენტის კუთხით.

სხდომის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის საბაკალავრო პროგრამაზე ირიცხებოდა ხუთი სტუდენტი, აზერბაიჯანის მოქალაქეები, რომლებიც ქართულ ენაზე სწავლობდნენ პროგრამას, ვინაიდან დაწესებულება ახორციელებდა ქართული ენის მომზადების პროგრამასაც.

სხდომის თავმჯდომარე დაინტერესდა, ჰყავდა თუ არა დაწესებულებას თურქი სტუდენტები

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ მათ არ ჰყავდათ თურქი სტუდენტები, მაგრამ სამომავლოდ ფიქრობდნენ თურქებისათვის სააბიტურიენტო პროგრამის შექმნას. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მოცემულ პროგრამაში უფრო მეტი იყო სპორტული მედიცინის საკითხები, რაც ჯამში შეადგენდა 33 კრედიტს. დარგობრივი კომპეტენციის გამომუშავების კურსები მოიცავდა დაახლოებით 148 კრედიტს. ასევე, პროგრამის ფარგლებში იყო დაშვებული მაინორის 60-კრედიტიანი პროგრამა, შესაბამისად, სპორტული კურსების შემცირება არ წარმოადგენდა აუცილებლობას, თუმცა შეიძლებოდა აღნიშნულზე დაფიქრება.

სხდომის თავმჯდომარე დაინტერესდა, მაგისტრატურის პროგრამა რამდენად იყო ორიენტირებული პრაქტიკაზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მაგისტრატურა გამდიდრებული იყო პრაქტიკის თვალსაზრისით.

სხდომის თავმჯდომარე დაინტერესდა, რაში ჭირდებოდათ სტუდენტებს ორი წლის დაკარგვა მაგისტრატურაზე.მან განაცხადა, რომ კვალიფიკაციათა ჩარჩოს მიხედვით, ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის სამაგისტრო პროგრამები ითვალისწინებდნენ ვიწრო სპეციალობებს და სამომავლო მკვლევარების მომზადებას, ვინაიდან ფიზიკური მედიცინა და რეაბილიტაცია არასდროს ყოფილა სამეცნიერო კვლევის ობიექტი.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ექსპერტის მითითებული ტექნიკური უკვე გამოსწორებული იყო, ხოლო რაც შეეხებოდა ინგლისური ენის სწავლას, დამატებულ იქნა ერთი სემესტრი და ინგლისურის კონპონენტი გახდა სამსემესტრიანი, გაიშალა თემატიკა საწყის დონეზე. ასევე გათვალისწინებულ იქნა რეკომენდაცია ვებგვერდთან დაკავშირებით და მოხსნილი იქნა პაროლი, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ეს მექანიზმი იმიტომ ჰქონდათ აქამდე, რომ სილაბუსებსა და პროგრამებზე ადგილი ჰქონდა პლაგიატს.

შემდეგ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება ხდებოდა ყოველ წელს. ბოლო პერიოდშიც შეძენილ იქნა რამდენიმე თანამედროვე მიკროსკოპი და სხვა ტექნიკური საშუალებები, მუდმივად ახლდებოდა წიგნადი ფონდი და ლაბორატორია.

დაწესებულების ძირითად კლინიკურ ბაზებს წარმოადგენდა ტატიშვილის კლინიკა, ამტელი და ბალნეოლოგიური დისპანსერი. სტომატოლოგიის მიმართულებით,

დაწესებულებას გააჩნდა საკუთარი საუნივერსიტეტო სტომატოლოგიური კლინიკა, სადაც ხდებოდა ბავშვების მომზადება და მათი შემდგომი დასაქმებისათვის ხელშეწყობა.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, ჯანდაცვის ეკონომიკისა და მენეჯმენტის ფაკულტეტი მოქმედებდა 2007 წლიდან და გამოშვებული ჰყავდა სამი თაობა. მაგისტრატურის საფეხური ხორციელდებოდა უკვე მესამე წელი და ირიცხებოდა 7 სტუდენტი.

13. შპს - სასწავლო უნივერსიტეტ გეომედის ჯანდაცვის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

პროგრამის მოკლე აღწერა

პროგრამის დასახელება	ჯანდაცვის მენეჯმენტი
განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიწებელი კვალიფიკაცია	ბიზნეს ადმინისტრირების მაგისტრი
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	120
კვალიფიკაციის კოდი	02

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა წარადგინა თამარ ვალიშვილმა. მან საბჭოს წევრებს ექსპერტების მიერ შემუშავებული რეკომენდაციები გააცნო:

- პროგრამების შესახებ ინფორმაცია და უნივერსიტეტის რეკომენდაცია განთავსებული იყო ვებგვერდზე, თუმცა მათი უმრავლესობის სანახავად საჭირო იყო პაროლის შეყვანა, რაც ართულებდა სხვა დაინტერესებულ პირთათვის მაგ: აბიტურიენტისათვის საჭირო ინფორმაციის მიღებას დისტანციურად. ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაცია უნდა ყოფილიყო მისაწვდომი ყველა დაინტერესებული პირისათვის.
- სასურველი იქნებოდა წიგნადი ფონდის განახლება თანამედროვე დარგობრივი ლიტერატურით.
- სასურველი იქნებოდა ინვენტარის, ლაბორატორიული ხელსაწყოების, სასწავლო მასალების განახლება და თანამედროვე საინფორმაციო - საკომუნიკაციო საშუალებებით აღჭურვა.

სხდომის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს. წარმომადგენელმა განაცხადა, რომ იზიარებდნენ ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებულ რეკომენდაციებს, რომლებიც მიმართული იყო პროგრამის გაუმჯობესებისა და დახვეწისაკენ და აუცილებლად მიიღებდნენ ყველა საჭირო ზომას მათ გასათვალისწინებლად.

14. შპს - სასწავლო უნივერსიტეტ გეომედის ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

პროგრამის მოკლე აღწერა

პროგრამის დასახელება	ფიზიკური მედიცინა და რეაბილიტაცია
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიწებელი კვალიფიკაცია	ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ბაკალავრი
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	240
კვალიფიკაციის კოდი	0906

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა წარადგინა თამარ ვალიშვილმა. მან საბჭოს წევრებს ექსპერტების მიერ შემუშავებული რეკომენდაციები გააცნო:

- საბაკალავრო პროგრამაში დიდი მოცულობითი წილი ეკავა ისეთ სასწავლო კურსებს, რომლებიც უფრო მეტად ასახავდნენ სპორტული მედიცინის საკითხებს, ვიდრე ფიზიკური მედიცინისა და დაავადებათა შემდგომი რეაბილიტაციისა. პრაქტიკის სასწავლო კურსიც აგებული იყო ანალოგიური პრინციპით. სასურველი იქნებოდა პროგრამაში შემცირებულიყო სპორტული მედიცინის შემსწავლელი სასწავლო კურსების მოცულობითი წილი და გაზრდილიყო რეაბილიტაციის ამსახველი კურსების წილი.
- ზოგიერთი სილაბუსის შინაარსში გამოყენებული ტერმინოლოგია იყო ხარვეზიანი და საჭიროებდა ჩასწორებას.
- საბაკალავრო პროგრამა ითვალისწინებდა უცხოე ენებიდან მხოლოდ ინგლისური ენის შესწავლას. აღნიშნული სასწავლო კურსის მიზანს წარმოადგენდა ინგლისური ენის ლექსიკის და გრამატიკული კატეგორიის შესწავლას, ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის დროს შესაბამისი გრამატიკული წესების გამოყენება და პროფესიული ინგლისური ენის ლექსიკის და ფრაზების ათვისება. საეჭვო იყო თუ როგორ მიაღწევდა ბაკალავრი აღნიშნულ შედეგს იმ შემთხვევაში თუ მას საერთოდ არ ეცოდინებოდა ინგლისური ენა და ეროვნულ გამოცდაზე ჩაბარებული ჰქონდა რომელიმე სხვა ალტერნატიული უცხო ენა. მიზანშეწონილი იყო დახვეწილიყო და გაშლილიყო ინგლისური ენის სილაბუსები ბაკალავრის საწყისი დონის გათვალისწინებით.
- პროგრამების შესახებ ინფორმაცია და უნივერსიტეტის დოკუმენტაცია განთავსებული იყო ვებგვერდზე, თუმცა მათი უმრავლესობის სანახავად საჭირო იყო პაროლის შეყვანა, რაც ართულებდა სხვა დაინტერესებულ პირთათვის მაგ: აბიტურიენტისათვის საჭირო ინფორმაციის მიღებას დისტანციურად. ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაცია უნდა ყოფილიყო მისაწვდომი ყველა დაინტერესებული პირისათვის.
- სასურველი იქნებოდა წიგნადი ფონდის განახლება თანამედროვე დარგობრივი ლიტერატურით.

- სასურველი იქნებოდა ინვენტარის, ლაბორატორიული ხელსაწყოების, სასწავლო მასალების განახლება და თანამედროვე საინფორმაციო - საკომუნიკაციო საშუალებებით აღჭურვა.

სხდომის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ დაწესებულება მაქსიმალურად შეეცდებოდა მხედველობაში მიეღო და გაეთვალისწინებინა მითითებული რეკომენდაციები.

15. შპს - სასწავლო უნივერსიტეტ გეომედის ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

პროგრამის მოკლე აღწერა

პროგრამის დასახელება	ფიზიკური მედიცინა და რეაბილიტაცია
განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის მაგისტრი
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	120
კვალიფიკაციის კოდი	0906

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა წარადგინა თამარ ვალიშვილმა. მან საბჭოს წევრებს ექსპერტების მიერ შემუშავებული რეკომენდაციები გააცნო:

- პროგრამების შესახებ ინფორმაცია და უნივერსიტეტის რეკომენდაცია განთავსებული იყო ვებგვერდზე, თუმცა მათი უმრავლესობის სანახავად საჭირო იყო პაროლის შეყვანა, რაც ართულებდა სხვა დაინტერესებულ პირთათვის მაგ: აბიტურიენტისათვის საჭირო ინფორმაციის მიღებას დისტანციურად. ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაცია უნდა ყოფილიყო მისაწვდომი ყველა დაინტერესებული პირისათვის.
- სასურველი იქნებოდა წიგნადი ფონდის განახლება თანამედროვე დარგობრივი ლიტერატურით.
- სასურველი იქნებოდა ინვენტარის, ლაბორატორიული ხელსაწყოების, სასწავლო მასალების განახლება და თანამედროვე საინფორმაციო - საკომუნიკაციო საშუალებებით აღჭურვა.

სხდომის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს

დაწესებულების წარომადგენელმა განაცხადა, რომ ეთანხემობოდა და იზიარებდა ექსპერტების მიერ შემუშავებულ რეკომენდაციებს.

16. შპს - სასწავლო უნივერსიტეტ გეომედის სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

პროგრამის მოკლე აღწერა

პროგრამის დასახელება	სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი პროგრამა
განათლების საფეხური	ერთსაფეხურიანი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	დიპლომირებული სტომატოლოგი
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	300
კვალიფიკაციის კოდი	090201

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა წარადგინა თამარ ვალიშვილმა. მან საბჭოს წევრებს ექსპერტების მიერ შემუშავებული რეკომენდაციები გააცნო:

- სასურველი იყო პროგრამაში არჩევითი საგნების მოცულობის გაზრდა.
- რამდენიმე სასწავლო კურსის სწავლებისათვის გათვალისწინებული იყო ერთი და იგივე ძირითადი სახელმძღვანელო, სასურველი იქნებოდა მითითებული ყოფილიყო სახელმძღვანელოს რომელი თავები იქნებოდა შესწავლილი კონკრეტულ სასწავლო კურსში.
- სასურველი იქნებოდა პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობად მითითებული ყოფილიყო ინგლისური ენის გარკვეული დონე ან სწავლის შედეგებში არ ყოფილიყო განსაზღვრული პროფესიულ საკითხებზე ინგლისურ ენაზე ეფექტური ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია.
- სასურველი იქნებოდა ინვენტარის, ლაბორატორიული ხელსაწყოების, სასწავლო მასალების განახლება და თანამედროვე საინფორმაციო - საკომუნიკაციო საშუალებებით აღჭურვა.
- სასურველი იქნებოდა ვებ გვერდზე განთავსებული დოკუმენტაცია ხელმისაწვდომი ყოფილიყო ყველა დაინტერესებული პირისათვის.

სხდომის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

წარმომადგენლის განცხადებით აუცილებლად იქნებოდა გათვალისწინებული ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები.

17. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მულტილინგვური განათლების (დაწყებითი განათლების საფეხური) საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა

პროგრამის დასახელება	მულტილინგვური განათლება (დაწყებითი განათლების საფეხური)
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	განათლების ბაკალავრი
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	240
კვალიფიკაციის კოდი	03

ექსპერტის მიერ დამსწრე საზოგადოებისათვის დასკვნის გაცნობამდე, შპს ქუთაისის უნივერსიტეტის წარმომადგენელმა, ლელა ქელბაქიანმა, სხდომის თავმჯდომარისაგან კიდევ ერთხელ მოითხოვა შპს ქუთაისის პროგრამებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების დასაბუთება. არ იზიარებდა ოქმისა და სხდომის მასალის ოფიციალურად მიწოდების ვადას რომელიც ითვალისწინებდა ათ დღეს და იშველიებდა რა არგუმენტად საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 65/ნ ბრძანებას, კატეგორიულად მოითხოვდა აკრედიტაციის საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთებას. შელაპარაკების შედეგად, სხდომის თავმჯდომარემ დატოვა დარბაზი. ლელა ქელბაქიანმა მიმართა საბჭოს დარჩენილ წევრებს შეკითხვით, განემარტათ აკრედიტაციის რომელი სტანდარტის დარღვევას ჰქონდა ადგილი კონკრეტულ შემთხვევაში.

საბჭოს წევრმა თხოვნით მიმართა ლელა ქელბაქიანს, მიეცა საბჭოსთვის საშუალება რეგლამენტით გათვალისწინებული პროცედურების ჩატარებისა.

საკითხის განხილვამდე, საბჭოს წევრმა, ნიკოლოზ ალექსიძემ განაცხადა აცილების შესახებ მოცემულ პროგრამაზე.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა წარადგინა ეკატერინე გიგაშვილმა. მან საბჭოს წევრებს ექსპერტების მიერ შემუშავებული რეკომენდაციები გააცნო:

- სასურველი იქნებოდა საგანმანთლებლო პროგრამაში შესულიყო უფრო მეტი ახალი ლიტერატურა და მეცნიერული კვლევის მასალები;
- სასურველი იქნებოდა საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები გაწერილიყო უფრო კონკრეტულად, მკაფიოდ და ნათალდ რათა მათი მიღწევის შესაფასებლად შერჩეულიყო შეფასების უფრო კონკრეტული მეთოდები და კრიტერიუმები;
- სასურველი იქნებოდა მულტილინგვური განათლების პროგრამის კურსდამთავრებულს შესაძლებლობა ჰქონოდა თანამედროვე მეცნიერული მიღწევების შესახებ ინფორმაციის მოძიება, ანალიზი, გადმოცემა, განზოგადება და პრაქტიკაში გამოყენება.

სხდომის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მოცემული პროგრამა შემუშავებულ იყო ეუთოს ეროვნულ უმცირესობათა ფარგლებში ხოლო შემდეგ მისი შემუშავება გაგრძელდა ტემპუსის

ფარგლებში. პროგრამა შექმნილი იყო იმისათვის, რომ მოეცვა საბაკალავრო და შემდგომი საფეხურები. მომავალში დაგეგმილი იყო სამაგისტრო პროგრამის წარმოდგენაც. წინა წელს ჩატარებულ იქნა შიდა მოკვლევა და დაახლოებით 150 ახალგაზრდას გამოუთქვამს სურვილი აღნიშნულ პროგრამაზე სწავლის. პროგრამა წარმოდგენილი იყო ორი მოდულით რომელიც ითვალისწინებდა არჩევით კომპონენტს უცხო ენის თვალსაზრისით და იმის გათვალისწინებით, თუ რომელი ენობრივი კომპეტენციის სტუდენტები გამოთქვავდნენ ჩარიცხვის სურვილს.

ექსპერტმა დააზუსტა, რომ არსებობდა სრული შესაბამისობა ნორმატიულ დოკუმენტთან, შედგებოდა არანაკლებ 180 კრედიტისაგან და მოიცავდა ყველა აუცილებელ კომპონენტს, მათ შორის, პრაქტიკულ კომპონენტსაც. 75 კრედიტს წარმოადგენდა პედაგოგიური ციკლის დისციპლინები, 15 კრედიტი იყო წარმოდგენილი სავალდებულო კურსები, 100 კრედიტის ფარგლებში იყო მოცემული ორენოვანი სასწავლო კურსები. მთლიანობაში, იმდენად სტრუქტურირებული იყო პროგრამა რომ მიუხედავად იმისა, რომ ჯერ არ ირიცხებოდნენ სტუდენტები და არ იყვნენ კურსდამთავრებულები, ჩანდა სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობა.

საჭოს წევრი, თამარ ბრეგვაძე დაინტერესდა, თუ რა შეიცვალა პროგრამაში, რადგან აღნიშნული პროგრამა ადრეც იყო წარმოდგენილი სააკრედიტაციოდ.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ვინაიდან საქმე ეხებოდა რეგულირებად სპეციალობას, არსებობდა მკაცრად დამტკიცებული სტანდარტი, რომლის გაუთვალისწინებლობაც არავითარ შემთხვევაში არ შეიძლებოდა. დაწყებითი განათლების პროგრამა ფუნქციონირებდა ავტორიზებულ რეჟიმში. პროგრამის სიახლეს წარმოადგენდა ის, რომ დაწყებითი საფეხურის პედაგოგის მომზადება ხდებოდა საქართველოში მცხოვრები არაქართველი მოსახლეობისათვის, დაწყებითი საფეხურის სტანდარტი მთლიანად იყო დაცული, ხოლო მულტილინგვური განათლების ფორმატში, საქართველო მრავალეთნიკური ქვეყანაა.

წარმომადგენელმა ასევე დაამატა, რომ ეს იყო ინტეგრირებული სწავლების შეთავაზება, რათა, მაგალითად სომხურენოვან კლასში ქართულის მასწავლებელს ჰქონოდა შესაძლებლობა ქართულენოვანი ლექციის ჩატარებისა.

წარმომადგენელმა ასევე აღნიშნა რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ჰქონდა ფუფუნება რომ 60 კრედიტიანი სასწავლო კურსი შეეთავაზებინა სომხურენოვან სტუდენტებს, რომელთაც შემდეგ ექნებოდათ უფლება და შესაძლებლობა, სწავლა გაეგრძელებინათ აღნიშნულ პროგრამაზე და მომხდარიყო მათი ინტეგრირება ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში. პრაქტიკის ობიექტებს წარმოადგენდა იმ რეგიონებში არსებული ბაზები, საიდანაც იყვნენ სამიზნე სტუდენტები - ახალციხე, მარნეული და ა.შ.

18.სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ქიმიის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა

პროგრამის დასახელება	ქიმია
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ქიმიის ბაკალავრი
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	240
კვალიფიკაციის კოდი	0503

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა წარადგინა თამარ ტუფინაშვილმა. მან საბჭოს წევრებს ექსპერტების მიერ შემუშავებული რეკომენდაციები გააცნო:

- სასურველი იქნებოდა სწავლების მეოთხე წელიწადს პროგრამით გათვალისწინებული თავისუფალი კომპონენტი (60 კრედიტი) მოცემული ყოფილიყო მოდულების სახით. რაც სტუდენტს ინდივიდუალური პროფილის ფორმირების და მისთვის საინტერესო მიმართულებით ცოდნის გაღრმავების საშუალებას მისცემდა.
- სასურველი იქნებოდა სასწავლო კურსების უცხოური (ინგლისური) ენა 1,2,3,4 სილაბუსებში ზოგადად გაწერილი მიზნები და სწავლის შედეგები დაკონკრეტებულიყო შესაბამისი სასწავლო კურსების შინაარსიდან გამომდინარე.
- სასურველი იქნებოდა უცხოურ ენა 4 დამატებოდა სპეციალობის ტერმინოლოგიის შემცველი ტექსტები, ან შეთავაზებულ ყოფილიყო სასწავლო კურსი „დარგობრივი უცხოური ენა";
- სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი ქიმიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმით უცხოურ ენებს (ფრანგული, ინგლისური, გერმანული, რუსული) სწავლების წინაპირობად მითითებული ჰქონდა ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ჩაბარებული ენა, რითაც სტუდენტებს ეზღუდებოდათ უცხოური ენის არჩევა. დაწესებულებამ გაიზიარა ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაცია და საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო გეგმიდან ამოღებულ იქნა ზემოაღნიშნული შეზღუდვა; იხ. დანართი 1 (19 ფურცელი და 1CD)
- ექსპერტთა ვიზიტის დროს სასწავლო კურსების „ორგანული ქიმია 3" და „ორგანული ქიმია 4" სახელწოდებაში შევიდა ცვლილება და ეწოდა „ორგანული ქიმია 1" და „ორგანული ქიმია 2". აღნიშნული ცვლილება აისახა იმ სასწავლო კურსების სილაბუსებშიც, რომელთა წინაპირობას „ორგანული ქიმია 3" და „ორგანული ქიმია 4" წარმოადგენენ. იხ. დანართი 2 (89 ფურცელი);
- სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამით გათვალისწინებული საწარმოო პრაქტიკის სილაბუსი არ მოიცავდა პრაქტიკის ინსტრუქციას, პრაქტიკის ანგარიშის შესახებ ინფორმაციას და პრაქტიკის დღიურის ფორმას. ექსპერტთა ვიზიტის დროს აღნიშნული ხარვეზი უნივერსიტეტის მიერ გასწორდა იხ. დანართი 3 (13 ფურცელი).

სხდომის თავმჯდომარე დაინტერესდა, თუ რამდენი ხანია იყო რაც ფუნქციონირებდა ქიმიის საბაკალავრო პროგრამა.

სხდომის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ქიმიის საბაკალავრო პროგრამა არ არსებობდა, ფუნქციონირებდა მხოლოდ სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამა. მან ასევე აღნიშნა, რომ ყველა რეკომენდაცია გახლდათ საგულისხმო. წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ახალი მიმართულებების შექმნის მიზეზს ტექნიკურ უნივერსიტეტში ზოგადად განაპირობებდა ერთგვარი დეფიციტი საინჟინრო სფეროში, ამიტომ დაწესებულებამ მიიღო მხედველობაში არსებული გარემოება და შექმნა კურსები, რომლებიც ითვალისწინებდნენ 240 კრედიტს, საიდანაც სავალდებულო საგნების კომპონენტი წარმოდგენილი გახლდათ 180 კრედიტით და დარჩენილი კრედიტების რაოდენობა მოიცავდა არჩევით საგნებს. სწორედ ასეთი ხანგრძლივობის კურსი მისცემდა სტუდენტს სრულფასოვან განათლებასა და ინჟინერის შესაბამის კვალიფიკაციას.

სხდომის თავმჯდომარე დაინტერესდა, რამდენად ეხმაურებოდა მითითებული პროგრამები მილენიუმის გამოწვევებს, ვინაიდან ტექნიკური უნივერსიტეტი გახლდათ ერთ-ერთი ვინც აპირებდა მსგავსი პროგრამების განხორციელებას.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მათ წინანადებით მიმართეს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს საინჟინრო პროგრამებისათვის სპეციალური სტანდარტის შემუშავების შუამდგომლობით, რომელიც ექსპერტებსაც გაუადვილებდა მუშაობას აკრედიტაციის თვალსაზრისით. სხვა მხრივ, ყველა რეკომენდაცია გახლდათ მისაღები და მიმდინარეობდა მუშაობა დარგობრივი რეკომენდაციების განხორციელების კუთხით.

19. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სასურსათო პროდუქტების წარმოების ინჟინერიის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა

პროგრამის დასახელება	სასურსათო პროდუქტების წარმოების ინჟინერია
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ქიმიური და ბიოლოგიური ინჟინერიის ბაკალავრი
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	240
კვალიფიკაციის კოდი	0410

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა წარადგინა თამარ ტუფინაშვილმა. მან საბჭოს წევრებს ექსპერტების მიერ შემუშავებული რეკომენდაციები გააცნო:

- უცხო ენების (ფრანგული, ინგლისური, გერმანული, რუსული) სწავლების წინაპირობად მითითებული იყო ერთიან ეროვნულ გამოცდაზე ჩაბარებული ენა , რითაც სტუდენტებს ეზღუდებოდათ უცხო ენის არჩევა. დაწესებულებამ გაიზიარა ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაცია და საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო გეგმიდან ამოღებულ იქნა ზემოაღნიშნული შეზღუდვა.

- პროგრამის სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ ზოგიერთი სასწავლო კურსის დაშვების პირობა საჭიროებდა დაზუსტებას . კერძოდ საჭირო იყო:
  ,,სასურსათო პროდუქტების წარმოების ინჟინერიის ძირითადი პროცესები და აპარატები" დაშვების წინაპირობას დამატებოდა ,,ტექნიკური მექანიკა";
  ,,თერმოდინამიკა და თბური პროცესები" დაშვების წინაპირობას დამატებოდა ,,ფიზიკური ქიმია";
  ,,ელექტრონიკის საფუძვლები" დაშვების წინაპირობას დამატებოდა ,,ზოგადი ფიზიკა2" . დაწესებულებამ გაიზიარა ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაცია და საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო გეგმაში შეტანილი იქნა ზემოაღნიშნული ცვლილება ვიზიტის დასრულებამდე.
- სასწავლო კუსრის სილაბუსი ,,კვების პროდუქტების დაკონსერვების ძირითადი პრინციპები" სახელწოდება სრულად არ ასახავდა შინაარსს, საჭირო იყო შინაარსის ადექვატური სახელწოდება. ექსპერტთა ჯგუფმა დაწესებულებას შეთავაზა ახალი სახელწოდება ,,კვების პროდუქტების დაკონსერვების ტექნოლოგიები" , რომელშიც ასევე დაზუსტდა ლაბორატორიული მეცადინეობების თემატიკა. ყოველივე აღნიშნული გაზიარებულ იქნა და შეწორებული იყო ვიზიტის დასრულებამდე.
- რიგ სასწავლო კურსებში (6 კრედიტიანი კურსები) კრედიტების გათვალისწინებით გასწორდა საათების რაოდენობა და მათი გადანაწილება მოხდა 162-სთ-ზე. ამასთან სასწავლო კურსის ,,საწარმოო პრაქტიკა" საათების განაწილება არ იყო შსაბამისობაში რეალურთან. აღნიშნული ცვლილებებიც განხორციელებული იყო ექსპერტთა რეკოემნდაციების საფუძველზე ვიზიტის დასრულებამდე.
- სასწავლო კურსების ,,ზოგადი მიკრობიოლოგია" და ,,ტექნიკური მიკრობიოლოგია" სილაბუსებს შინაარსობრივად საკითხების დონეზე ჰქონდათ ბევრ საკითხში თანხვედრა. გასაუბრებისას გაზიარებულ იქნა მითითება და სილაბუსების შინაარსი გასწორდა ვიზიტის დასრულებამდე.
- რიგ სასწავლო კურსებში დაზუსტდა შეფასების კრიტერიუმები საკურსო პროექტის სპეციფიკის გათვალისწინებით.
- სასწავლო კურსის სილაბუსში შეფასების ფორმები (ყოველკვირეული შუალედური შეფასება -მაქსიმალური შეფასება-30 ქულა; შუალედური გამოცდა - 1 - მაქსიმალური შეფასება - 20ქ. 2-მაქსიმალური შეფასება - 20ქ. დასკვნითი გამოცდა - მაქსიმალური შეფასება - 30ქ.) და შეფასების მეთოდები (ტესტირება, წერითი გამოკითხვა) ყველგან იყო იდენტური. ამასთან, პროგრამის განმახორციელებლებთან ინტერვიუს დროს გაირკვა, რომ რიგ შემთხვევებში გამოყენებული იყო სასწავლო კურსის შეფასების შესაბამისი მეთოდები. ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაცია გახლდათ სასწავლო კურსის განმახორციელებლებს მინიჭებოდათ მეტი თავისუფლება შეფასების ფორმების და მეთოდების შერჩევისას თითოეული საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე.

სხდომის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ იზიარებდნენ ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაფიქსირებულ რეკომენდაციებს.

20.სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მშენებლობის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა

პროგრამის დასახელება	მშენებლობის მენეჯმენტი
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	მენეჯმენტის ბაკალავრი
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	240
კვალიფიკაციის კოდი	02

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა წარადგინა გოჩა თუთბერიძემ. მან საბჭოს წევრებს ექსპერტების მიერ შემუშავებული რეკომენდაციები გააცნო:

- პროგრამა კურსდამთავრებულს ანიჭებდა მენეჯმენტის ბაკალავრის კვალიფიკაციას, რომელიც რეალურ შეაძლებლობას აძლევდა მას დასაქმებულიყო, როგორც კერძო, ასევე სახელმწიფო სექტორის ორგანიზაცია-დაწესებულებებში. შესაბამისად, უკეთესი იქნებოდა და მომგებიანი, თუ დასაქმების სფერო პროგრამაში უფრო ფართოდ იქნებოდა აღწერილი;
- პროგრამის 240 კრედიტიდან 220 იყო სავალდებულო და მხოლოდ 20 კრედიტი თავისუფალი. თუმცა 20 კრედიტიც სტუდენტს უნდა აერჩია შეთავაზებული 9 სასწავლო კურსიდან ამორჩევის საშუალებით. შესაბამისად, შეზღუდული იყო სტუდენტისთვის ინტერესების შესაბამისი კურსების არჩევის ან/და სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გავლილი სასწავლო კურსების თავისუფალი კრედიტების ფარგლებში აღიარების შესაძლებლობა. შინაარსობრივად, „თავისუფალი კრედიტების" ბლოკში შეთავაზებული სასწავლო დისციპლინები წარმოადგენდა იმავე პროგრამის ძირითადი სპეციალობის დარგის სასწავლო დისციპლინებს, შესაბამისად, ძნელი იყო მათი თავისუფალ კრედიტებად აღიარება. პროგრამის ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით, აუცილებელი იყო, პროგრამა აწყობილი ყოფილიყო ძირითადი სპეციალობისა და დამატებითი სპეციალობის, ან თავისუფალი კრედიტების კომბინაციით. ამასთან, თავისუფალი კრედიტების შეთავაზების შემთხვევაში, გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო სტუდენტის მიერ ინდივიდუალური საგანმანათლებლო პროფილის ფორმირების შესაძლებლობა. პროგრამის სავალდებულო ნაწილი, თავის მხრივ, უზრუნველყოფდა სასწავლო კურსების გარკვეულ არჩევითობას. ამასთან, კვალიფიკაციათა ჩარჩოს მიხედვით პირველი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამაში სტუდენტს შეეძლოთ ძირითადი სპეციალობისა (არანაკლებ 120 კრედიტი) და დამატებითი სპეციალობის (სასურველია 60 კრედიტი) კომბინირება შემდეგი სახით: ძირითადი სპეციალობა და თავისუფალი კომპონენტები; ძირითადი სპეციალობა, დამატებითი სპეციალობა და თავისუფალი კომპონენტები; ძირითადი და ორი დამატებითი სპეციალობა. აღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფის აზრით, გაცილებით უკეთესი იქნებოდა, თუ კი პროგრამა იქნებოდა კონსტრუირებული რომელიმე ამ მოდელის საფუძველზე. მითუმეტეს, რომ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ამ კუთხით ფართო შესაძლებლობები იყო.
- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამით სასწავლო კურსი „ოპერაციული მენეჯმენტი" წარმოადგენდა არჩევით დისციპლინას. ვინაიდან, პროგრამის

დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს ენიჭებოდა მენეჯმენტის ბაკალავრის კვალიფიკაცია, ექსპერტთა მხრიდან გაკეთდა რეკომენდაცია, რომ აღნიშნული კურსი გამხდარიყო სავალდებულო სასწავლო კურსი. გარდა ამისა, წარმოდგენილი პროგრამით ისწავლებოდა სასწავლო კურსი ბუღალტრული აღრიცხვა და აუდიტი 1 და 2. ამასთან, ბუღალტრულ აღრიცხვა და აუდიტი 1 არ ჰქონდა წინაპირობა. ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან გაკეთდა რეკომენდაცია, რომ უმჯობესი იყო სტუდენტებისთვის შეეთავაზებინათ ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები, როგორც შესავალი კურსი და ამის შემდეგ კი ფინანსური აღრიცხვის კურსი. პროგრამის შემდგენლები დაეთანხმნენ ამ მოსაზრებებს და აღნიშნული გასწორდა შემოწმების მიმდინარეობის პროცესში. (იხ. დანართი);

- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმით სასწავლო კურსებში „საწარმოო პრაქტიკა", „სასწავლო პრაქტიკა" , „მასალათა გამძლეობა" და „საკვალიფიკაციო ნაშრომი" არ იყო მითითებული წინაპირობები. შემოწმების პროცესში, ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციის საფუძველზე აღნიშნული ხარვეზი სასწავლო დაწესებულების მხრიდან აღმოფხვილიქნა. (იხ. დანართი);
- უცხო ენების (ფრანგული, ინგლისური, გერმანული, რუსული) სწავლების წინაპირობად მითითებული იყო ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ჩაბარებული ენა, რითაც სტუდენტებს ეზღუდებოდათ უცხო ენის არჩევა. დაწესებულებამ გაიზიარა ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაცია და საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო გეგმიდან ამოღებულ იქნა ზემოაღნიშნული შეზღუდვა (იხ. დანართი);
- სასწავლო კურსის სილაბუსში შეფასების ფორმები (ყოველკვირეული შუალედური შეფასება - მაქსიმალური შეფასება - 30 ქულა; შუალედური გამოცდა - 1 - მაქსიმალური შეფასება - 20ქ; 2- მაქსიმალური შეფასება - 20ქ; დასკვნითი გამოცდა - მაქსიმალური შეფასება - 30ქ) და შეფასების მეთოდები (ტესტირება, წერითი გამოკითხვა) იყო იდენტური. ამასთან, პროგრამის განმახორციელებლებთან ინტერვიუს დროს გაირკვა, რომ რიგ შემთხვევებში (სამშენებლო ხაზვა) გამოყენებული იყო სასწავლო კურსის შესაბამისი შეფასების მეთოდები. ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაცია გახლდათ სასწავლო კურსის განმახორციელებლებს მინიჭებოდათ მეტი თავისუფლება შეფასების ფორმების და მეთოდების შერჩევისას თითეული საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე;
- სილაბუსების ნაწილში ყოველკვირეული შუალედური შეფასება ხდებოდა დახურული კითხვებიანი ტესტით. ტესტი მოიცავდა 8 კითხვას (6 - სალექციო კურსი, 2 სემინარი). თითოეულ კითხვას ჰქონდა რამდენიმე სავარაუდო პასუხი, რომელთაგან მხოლოდ ერთი იყო სწორი. ტესტი ფასდება ორი ქულით შემდეგი კრიტერიუმებით: 2 ქულა – სწორია 7–8 პასუხი; 1 ქულა - სწორია 5–6 პასუხი; 0 ქულა – სწორია 1–4 პასუხი. (სულ: 2 ქულა x 15 კვირა = 30 ქულა). აღნიშნული შეფასება ექსპერტთა ჯგუფის აზრით არ ასახავდა სტუდენტის ცოდნის დონეს ადეკვატურად, ვინაიდან სტუდენტს 4 კითხვაზე სწორი პასუხი (8 კითხვიდან) ეთვლებოდა 0 ქულად. უფრო სამართლიანი იქნებოდა, ასეთ შემთხვევაში ყოველ კითხვაზე სწორი პასუხი შეფასებულიყო 0.25 ქულით (2/8=0.25).

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ პროგრამა გახლდათ უნიკალური თავისი შინაარსით და სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მშენებლობის მენეჯმენტი საჭიროებდა გარკვეულ მენეჯერულ ცოდნას, აღნიშნული პროგრამის კურსდამთავრებულების დასაქმება შესაძლებელი იყო სამშენებლო, საინჟინრო, არქიტექტურულ სამსახურებში და ა.შ. რაც შეეხებოდა შეფასების სისტემას, პროფესორ მასწავლებლებს ჰქონდათ სრული თავისუფლება თავისი გადაწყვეტილებით შემოეღოთ

შეფასების სისტემის სახეობა. სხვა მხრივ, დაწესებულების წარმომადგენლები იზიარებდნენ ექსპერტების რეკომენდაციებს და მაქსიმალურად იმუშავებდნენ მათ შესრულებაზე.

21.სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ლოჯისტიკის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა

პროგრამის დასახელება	ლოჯისტიკა (გერმანულ და ქართულ ენებზე)
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ტრანსპორტის ბაკალავრი
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	240
კვალიფიკაციის კოდი	0407

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა გოჩა თუთბერიძემ წარადგინა. მან საბჭოს წევრებს ექსპერტების მიერ შემუშავებული რეკომენდაციები გააცნო:

- სასურველი იქნებოდა სილაბუსებში ლიტერატურის ჩამონათვალიდან თითოეული ლექცია-პრაქტიკული და სასემინარო მეცადინეობისათვის მითითებული ყოფილიყო შესაბამისი წყარო.
- სასწავლო კურსში „ტელემატიკა ლოჯისტიკაში“ გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემების საფუძვლების შესწავლას დათმობილი ჰქონდა 2 სთ. ლექცია და 2 სთ. პრაქტიკული მეცადინეობა, პროგრამის შემდგომი განვითარების პროცესში სასურველი იქნებოდა „ სატრანსპორტო გეოსაინფორმაციო სისტემები“ ჩამოყალიბებულიყო ცალკე კურსის სახით.

სხდომის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ იზიარებდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გამოთქმულ რეკომენდაციებს და როგორც კი სრულ სახეს მიიღებდა პროგრამის სილაბუსი, დაუყოვნებლივ მოხდებოდა შესაბამისი წყაროს მითითება. თუმცა ლიტერატურასთან დაკავშირებით წარმომადგენელს მიაჩნდა, რომ საბაკალავრო პროგრამისათვის არ წარმოადგენდა პრონციპულ საკითხს დაწვრილებითი მითითებების შეტანა, ტექნიკურ უნივერსიტეტს გააჩნდა სახელმძღვანელოს დამტკიცების წესი, მას შემდეგ რაც გამოვიდოდა სახელმძღვანელო იგი გაივლიდა ექსპერტიზას ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში და მხოლოდ აღნიშნული პროცედურების შემდგომ მიენიჭებოდა მას სილაბუსებთან თავსებადობის სტატუსი. მითითებული სახელმძღვანელოები პირდაპირ ასახავდნენ სილაბუსის შინაარსს, სტუდენტს არ მოუწევდა ძალისხმევის დახარჯვა იმაზე თუ სად და როგორ მოეძიებინა ესა თუ ის თემატიკა მითითებულ სახელმძღვანელოში თუმცა აღნიშნული მითითებების გაკეთება არ იქნებოდა სირთულე და შესაძლებელი იყო ამ რეკომენდაციის მხედველობაში მიღება.

რაც შეეხებოდა გეოსაინფორმაციო სისტემების შესწავლის საათების გაზრდას, წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მარშუტიზაციისა და დისპეჩერიზაციის სისტემები ისწავლებოდა ორ სემესტრში და მთლიანად წარმოადგენდა ლაბორატორიულ სამუშაოს, ტელემატიკასთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ეს იყო

ახალი საგანი და მოიცავდა სისტემებს, რომელიც ასევე გაშლილი იყო ლაბორატორიულ ნაწილში.

22.სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სახმელეთო სატრანსპორტო-ტექნოლოგიური საშუალებების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა

პროგრამის დასახელება	სახმელეთო სატრანსპორტო - ტექნოლოგიური საშუალებები
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	მექანიკის, ინჟინერიისა და ტექნოლოგიის ბაკალავრი
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	240
კვალიფიკაციის კოდი	0408

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა წარადგინა გოჩა თუთბერიძემ. მან საბჭოს წევრებს ექსპერტების მიერ შემუშავებული რეკომენდაციები გააცნო:

- სასურველი იქნებოდა პროგრამის სასწავლო კურსი „მარკეტინგი" ზოგადტექნიკური კურსების ციკლიდან გადატანილი ყოფილიყო ჰუმანიტარული კურსების არჩევით ციკლში.
- კარგი იქნებოდა პროგრამის გვ.11-ზე მითითებულ საგნებს მინიჭებოდა სახელწოდება „თავისუფალი კრედიტების საგნები".

სხდომის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მარკეტინგის სასწავლო კურსის გადატანის საკითხი ნამდვილად არ გახლდათ პრინციპული, ვინაიდან არ წარმოადგენდა წინაპირობას და ჩასმული იყო მხოლოდ ზოგადი განათლების მისაღებად. შესაძლებელი იყო, ჰუმანიტარულ კურსებშიც აღმოჩენილიყო, მაგრამ აღნიშნულს არ ექნებოდა გადამწყვეტი მნიშვნელობა სწავლის შედეგების თვალსაზრისით.

რაც შეეხებოდა თავისუფალ კომპონენტებს, პროგრამის დიზაინი ისე იყო შემუშავებული, რომ 210 კრედიტი წარმოდგენილი იყო ძირითადი და 30 გახლდათ თავისუფალი კრედიტების სახით. პროგრამას ახლდა აღწერა და ცხრილი, სადაც გარკვევით იყო მითითებული, თუ რომელი საათები გახლდათ ძირითადი და რომელი თავისუფალი.

სხდომის თავმჯდომარე დაინტერესდა აღნიშნული პროგრამის სტუდენტების დასაქმების არეალით.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ აღნიშნული პროგრამის სტუდენტები შეიძლებოდა დასაქმებულიყვნენ სატვირთო ტერმინალებზე, სამშენებლო უწყებებში, კვების, მეტალურგიის საინჟინრო წარმოებებში და ა.შ. ფაქტობრივად, არ არსებობდა უწყება, სადაც არ შეიძლებოდა დასაქმებულიყო ამ პროფესიის მქონე ადამიანი.

23.სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მეტალურგიის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა

პროგრამის დასახელება	მეტალურგია ინგლისურენოვანი
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ინჟინერიის ბაკალავრი მეტალურგიაში
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	240
კვალიფიკაციის კოდი	0411

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა წარადგინა გოჩა თუთბერიძემ. მან საბჭოს წევრებს ექსპერტების მიერ შემუშავებული რეკომენდაციები გააცნო:

- მისანიჭებელი კვალიფიკაცია პროგრამის ინგლისურენოვან ვერსიაში იყო ,,მეტალურგიის ბაკალავრი" (Bachelor of Metallurgy), ხოლო ქართულენოვან ვერსიაში ,,ინჟინერიის ბაკალავრი მეტალურგიაში". პროგრამის ავტორებთან კონსულტაციის შედეგად იქნა გასწორებული აღნიშნული უზუსტობა აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტის დროს და კვალიფიკაცია ჩამოყალიბდა შემდეგი სახით: მეტალურგიის ბაკალავრი (Bachelor of Metallurgy).
- პროგრამაზე მირების წინაპირობებში ასახული არ იყო ის გარემოება რომ პროგრამა იყო ინგლისურენოვანი და მასზე ჩარიცხული სტუდენტს აუცილებლად უნდა ჰქონოდა ინგლისური ენის ცოდნა. ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაკეთებული რეკომენდაცია გათვალისწინებული იქნა პროგრამის ავტორების მიერ და აღნიშნული გარემოება ასახულ იქნა ,,მეტალურგიის „ ინგლისურენოვან საგანმანათლებლო პროგრამაზე მირების წინაპირობებში.
- სასწავლო გეგმის მიხედვით კურსი: შრომის და საგანგებო სიტუაციების კონტროლი (Labor safety and emergency control) ისწავლებოდა პირველ სემესტრში, როდესაც სტუდენტი ჯერ კიდევ არ იცნობდა მეტალურგიული საწარმოების თავისებურებებს და ნასწავლი არ ჰქონდა არც ერთი სპეციალური დისხიპლინა. მართალი იყო აღნიშნული დისციპლინა მიეკუთვნებოდა ზოგად დისციპლინათა ჯგუფს, მაგრამ ექსპერტთა ჯგუფის აზრით უმჯობესი იქნებოდა მისი შესწავლა მომხდარიყო მეექვსე ან მეშვიდე სემესტრში საწარმოო პრაქტიკის გავლამდე.
- სასწავლო კურსის სილაბუსში შეფასების ფორმები (ყოველკვირეული შუალედური შეფასება - მაქსიმალური შეფასება - 30 ქულა; შუალედური გამოცდა - 1 - მაქსიმალური შეფასება - 20ქ; 2- მაქსიმალური შეფასება - 20ქ; დასკვნითი გამოცდა - მაქსიმალური შეფასება - 30ქ) და შეფასების მეთოდები (ტესტირება, წერითი გამოკითხვა) იყო იდენტური. ამასთან, პროგრამის განმახორციელებლებთან ინტერვიუს დროს გაირკვა, რომ რიგ შემთხვევებში (სამშენებლო ხაზვა) გამოყენებული იყო სასწავლო კურსის შესაბამისი შეფასების მეთოდები. ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაცია გახლდათ სასწავლო კურსის განმახორციელებლებს მინიჭებოდათ მეტი თავისუფლება შეფასების ფორმების და მეთოდების შერჩევისას თითეული საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე;
- სილაბუსების ნაწილში ყოველკვირეული შუალედური შეფასება ხდებოდა დახურული კითხვებიანი ტესტით. ტესტი მოიცავდა 8 კითხვას (6 - სალექციო კურსი,

2 სემინარი). თითოეულ კითხვას ჰქონდა რამდენიმე სავარაუდო პასუხი, რომელთაგან მხოლოდ ერთი იყო სწორი. ტესტი ფასდება ორი ქულით შემდეგი კრიტერიუმებით: 2 ქულა – სწორია 7–8 პასუხი; 1 ქულა - სწორია 5–6 პასუხი; 0 ქულა – სწორია 1–4 პასუხი. (სულ: 2 ქულა x 15 კვირა = 30 ქულა). აღნიშნული შეფასება ექსპერტთა ჯგუფის აზრით არ ასახავდა სტუდენტის ცოდნის დონეს ადეკვატურად, ვინაიდან სტუდენტს 4 კითხვაზე სწორი პასუხი (8 კითხვიდან) ეთვლებოდა 0 ქულად. უფრო სამართლიანი იქნებოდა, ასეთ შემთხვევაში ყოველ კითხვაზე სწორი პასუხი შეფასებულიყო 0.25 ქულით (2/8=0.25).

სხდომის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა რომ ყველა რეკომენდაცია იქნებოდა გათვალისწინებული.

სხდომის თავმჯდომარე დაინტერესდა დარჩენილი ქონდა თუ არა ბაზების სახით რესურსი სახელმწიფოს პრაქტიკული თვალსაზრისით თუნდაც იმ მიზნით რომ ეჩვენებინათ უცხოელებისათვის.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ზოგადად მეტალურგია შედიოდა საექსპორტო პროდუქციათა სამეულში და რეალურად რესპუბლიკაში არსებობდა საწარმოები სადაც შეიძლებოდა პრაქტიკული კომპონენტის განხორციელება. წარმომადგენელმა ასევე აღნიშნა რომ პროგრამა კეთდებოდა რექტორის დავალებით ვინიდან ძალიან ბევრი მსურველი იყო საზღვარგარეთიდან ეს გახლდათ თურქეთი, ირანი, პაკისტანი და ინდოეთი და ვინაიდან მათ სწავლა საქართველოში უჯდებოდათ შედარებით იაპი ამიტომაც იყო განაცხადი და სურვილი მისი ჩამოყალიბების.

სხდომის თავმჯდომარე დაინტერესდა სწავლის საფასურის ღირებულებით.

წარმომადგენელმა განაცხადა რომ საფასურის ოდენობა იქნებოდა დაახლოებით 3000 ლარი. აკადემიური რესურსიც შერჩეუკლი იყო ინგლისურენოვანი რომელთაც გააჩნდათ გამოცდილება და შესაბამისი სერთიფიკატები.

24.სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გამოთვლითი მათემატიკის ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა

პროგრამის დასახელება	გამოთვლითი მათემატიკა
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	მათემატიკის ბაკალავრი
სწავლების ენა	ინგლისური
კრედიტების რაოდენობა	240
კვალიფიკაციის კოდი	0501

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა წარადგინა კონსტანტინე სირბილაძემ. მან საბჭოს წევრებს ექსპერტების მიერ შემუშავებული რეკომენდაციები გააცნო:

- სასურველი იქნებოდა პროგრამაში მომხდარიყო კრედიტების გადანაწილება სპეციალობის ძირითად და არჩევით სასწავლო კურსებს შორის, ამავე დროს თავისუფალი კომპონენტებისათვის რეალურად კრედიტების გამოყოფა.
- პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე სასურველი იქნებოდა პროგრამას დამატებოდა შემდეგი კურსები:
  გამოთვლითი მეთოდები/რიცხვითი მეთოდები ან რიცხვითი ანალიზი;
  გამოყენებითი პროგრამული პაკეტები - Matlab, Maple ან სხვა.
- სასურველი იქნებოდა რიგი დარგობრივი სასწავლო კურსების სწავლის შედეგები ჩამოყალიბებულიყო უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა აღმწერის შესაბამისად.
- რადგან პროგრამა გახლდათ ინგლისურენოვანი სასურველი იქნებოდა მიღების წინაპირობებში მითითებულიყო უცხო ენად აუცილებლად ინგლისირი ენის ჩაბარება.

სხდომის თავმჯდომარე დაინტერესდა გამოთვლითი მათემატიკა ქართულენოვანი პროგრმით ასეთი სახელით რამდენი ხანი იყო რაც არსებობდა.

წარმომადგენელმა განაცხადა რომ პრპოგრამა იყო ახალი აქამდე ასეთი სახელწოდების პროგრამა არ არსებობდა და პროგრამის ხელმძღვანელების მისია მდგომარეობდა იმაში რომ სრულად მოეცვათ მათემატიკის აღნიშნული საფუძვლები მთელ პროგრამაში. პროგრამის წამყვანი ბირთვი გახლდათ მათლაბის პროგრამა და აგრეთვე მიმდინარეობდა მუშაობა ექსელშიც. დაწესებულებას ჰქონდა დიდი ბაზა რომელიც მოიცავდა ორ ცენტრს სადაც სწავლობდა 15-20 ბავშვი. მომავალი წლიდან კიდევ ელოდებოდნენ მსურველების მოზიდვას და დიდი სურვილი ჰქონდათ პროგრამის ხელმძღვანელობას უფრი დაეხვეწათ და გამოყენებადი გაეხადათ პროგრამა კვლევების თვალსაზრისითაც და რეკომენდაციების გაზიარებით.

25.სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქეოლოგიის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა

პროგრამის დასახელება	არქეოლოგია
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	არქეოლოგიის ბაკალავრი
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	240
კვალიფიკაციის კოდი	1001

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა წარადგინა ქეთევან კინწურაშვილმა. მან საბჭოს წევრებს ექსპერტების მიერ შემუშავებული რეკომენდაციები გააცნო:

- პროგრამაში არის სასწავლო კურსების სილაბუსები, მაგალითად ინგლისური 1 და ინგლისური 2, სადაც მიუხედავად იმისა, რომ განსხვავებული ყოველკვირეული თემატიკაა შემოთავაზებული, მეორდება სასწავლო კურსის მიზნები და სწავლის შედეგები;
- პროგრამის ზოგიერთი სასწავლო კურსის სილაბუსში იდენტური შეფასების სისტემა და შეფასების კრიტერიუმებია მითითებული, თუმცა, ცხადია, რომ თეორიულ და პრაქტიკულ სასწავლო კურსებს შეფასების განსხვავებული მეთოდები და კრიტერიუმები ესაჭიროება. პროგრამის აკადემიურ პერსონალთან გასაუბრების დროს დადასტურდა, რომ ასეთი მეთოდები და სასწავლო კურსების სპეციფიკით განსაზღვრული კრიტერიუმები არსებობს კიდეც.
  გარდა ამისა, სასურველია დაზუსტდეს თუ რა ტიპის დავალება იგულისხმება ყოველკვირეულ დავალებაში (საშინაო დავალება თუ დავალება აუდიტორიაში ქვიზის სახით და ა.შ.)

  ამდენად, სასურველია, რომ ყველა ტიპის სასწავლო კურსის სილაბუსებში ადექვატურად იყოს ასახული დავალების ტიპები, შეფასების განსხვავებული მეთოდები და კრიტერიუმები;
- სასურველია ლიტერატურის ნუსხა გამდიდრდეს მეტად თანამედროვე ქართულ და უცხოენოვანი ლიტერატურით.

სხდომის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ იზიარებდნენ რეკომენდაციებს და რამდენიმე მათგანი, რაც ეხებოდა სილაბუსებს, უკვე იქნა მხედველობაში მიღებული და გამოსწორებული, თავად პროგრამა გახლდათ განსხვავებული იმ პროგრამებისაგან, რომლებიც ისწავლებოდა თბილისის სახელმწიფო და ილიას უნივერსიტეტებში ვინაიდან მასში გათვალისწინებული იყო ტექნიკური უნივერსიტეტის სპეციფიკა და დროთა განმავლობაში შეცვლილი იქნა თავად კველევის ტექნოლოგია არქეოლოგიაში და იგი უფრო მეტად გახდა დაფუძნებული ტექნიკურ ექსპერიმენტზე, დაწესებულების მიზანს წარმოადგენდა ისეთი არქეოლოგის აღზრდა, რომელიც აღჭურვილი იქნებოდა არამხოლოდ თეორიული ცოდნით, არამედ ექნებოდა გავლილი ზოგადსაგანმანათლებლო საგანები, მაგალითად, ცივილიზაციების ისტორია, საქართველოს ისტორია და ა.შ. რაც გამოადგებოდა მას როგორც არქეოლოგს. აღნიშნული ამოცანა არ იყო მარტივი, თუმცა პროგრამის მიზანს სწორედ ეს წარმოადგენდა. დაწესებულებას ჰქონდა ბიბლიოთეკა, ლაბორატორიები, ბიუჯეტი ითვალისწინებდა დამატებითი ტექნიკის შეძენას და, შესაბამისად, დაწესებულება ყოველმხრივ მზად იყო ხარისხიანი და პროდუქტიული სასწავლო პროცესის წარმოებისათვის.

სხდომის თავმჯდომარე დაინტერესდა რამდენად იყო პროგრამაში გათვალისწინებული საველე სამუშაოები.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ იმუშავებდა ორი ექსპედიცია და აგრეთვე დადებული იყო ეროვნულ მუზეუმთან მემორანდუმი და მათი დახმარებითაც შესაძლებელი გახდებოდა ექსპედიციების წარმოება.

26.სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამოსის დიზაინის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

პროგრამის მოკლე აღწერა

პროგრამის დასახელება	სამოსის დიზაინი
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	დიზაინის ბაკალავრი
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	240
კვალიფიკაციის კოდი	0803

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა წარადგინა ნინო ღაღანიძემ. მან საბჭოს წევრებს ექსპერტების მიერ შემუშავებული რეკომენდაციები გააცნო:

- საბაკალავრო პროგრამაზე მიღების წინაპირობა ითვალისწინებდა მხოლოდ ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარებას, თუმცა პროგრამის სპეციფიკა განსაზღვრავდა კურიკულუმში ისეთი სასწავლო კურსების არსებობას, რომელთა წარმატებით გავლა კონკრეტულ შემოქმედებით უნარებთან იყო დაკავშირებული. ასეთი კურსები იყო, მაგალითად, აკადემიური ხატვა, ფერწერა და ფერადი გრაფიკა, კომპოზიციის საფუძვლები; სასურველი იქნებოდა, პროგრამაზე მიღების წინაპირობებს დამატებოდა აბიტურიენტის შემოქმედებითი უნარების შესაფასებელი ტური ნებისმიერი მიზანშეწონილი ფორმატით (გასაუბრება, პორტფოლიო და სხვ.)
- სასურველი იქნებოდა, ხელოვნების ისტორიის სილაბუსის შინაარსი და სასწავლო თემების თანმიმდევრობა უფრო ლოგიკური გამხდარიყო, რათა ყურადღების მიღმა არ დარჩენილიყო მსოფლიო თუ ქართული ხელოვნების განვითარების ძირითადი ეპოქები. სასურველი იქნებოდა, აგრეთვე, ძირითადი ლიტერატურის სია გამდიდრებულიყო უახლესი გამოცემებით სასწავლო კურსის შინაარსის შესაბამისად.
- პროგრამის ზოგიერთი სასწავლო კურსის სილაბუსში იდენტური შეფასების სისტემა და შეფასების კრიტერიუმები იყო მითითებული, თუმცა, ცხადი იყო, რომ თეორიულ და პრაქტიკულ სასწავლო კურსებს შეფასების განსხვავებული მეთოდები და კრიტერიუმები ესაჭიროებოდა. პროგრამის აკადემიურ პერსონალთან ინტერვიუს დროს ფაქტიურად დადასტურდა, რომ ასეთი მეთოდები და სასწავლო კურსების სპეციფიკით განსაზღვრული კრიტერიუმები არსებობდა კიდეც. ამდენად, სასურველი იქნებოდა, რომ ყველა ტიპის სასწავლო კურსის სილაბუსში ადეკვატურად ყოფილიყო ასახული შეფასების განსხვავებული მეთოდები და კრიტერიუმები.
- სასურველი იქნებოდა, პროგრამის მატერიალურ ბაზას დაემატებოდა თანამედროვე დანადგარები და არსებული სასწავლო ფართი უკეთ კეთილმოეწყოს პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

სხდომის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მათ არ სურდათ, გამოცდების გარდა, სტუდენტებისათვის მოეთხოვათ დამატებითი პორტფოლიოები ან ნამუშევრები, მით უმეტეს, რომ ბევრი მათგანი ხაზვას სკოლაში არ სწავლობდა. ამიტომ, მათ არ დაუშვეს ზედმეტი ბარიერები იმ სტუდენტებისთვის, ვისაც სურვილი ჰქონდა ამ ფაკულტეტზე სწავლისა. მაგრამ თუ ეს პირობა გახდებოდა აუცილებელი, დაწესებულება არ წავიდოდა ამის წინააღმდეგ და გაითვალისწინებდა რეკომენდაციას.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პროგრამა მიმართული იყო ინდუსტრიაზე, პრაქტიკის კუთხით არსებობდა მრავალფეროვანი არჩევანი, ვინაიდან

არსებობდა მასიური წარმოებები, სალონური ერთეულები და ა.შ სადაც სტუდენტები გაივლიდნენ შესაბამის პრაქტიკას. ასევე, ხდებოდა ბაზრის კვლევა, რის საფუძველზეც, იკვეთებოდა დამსაქმებლის მოთხოვნები და დგებოდა, თუ რა იყო დეფიციტური აღნიშნულ სფეროში, რისი განვითარება იქნებოდა მეტად აქტუალური. სხვა მხრივ, დაწესებულების წარმომადგენლობა იზიარებდა რეკომენდაციებს და მზადყოფნას გამოხატავდა მათი განხორციელებისათვის.

საბჭოს სხდომაზე 20:00 საათზე გამოცხადდა შესვენება. სხდომა განახლდა 20:34 საათზე.

შპს ქუთაისის უნივერსიტეტის წარმომადგენელი, ლელა ქელბაქიანი საბჭოს სხდომის მიმდინარეობის ვიდეოჩანაწერს აკეთებდა, რის გამოც, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის სპეციალისტმა, თამარ შენგელიამ, შეახსენა, რომ ვიდეოგადაღება მხოლოდ იმ შემთხვევაში იყო დაშვებული, თუ დამსწრეთაგან ყველას ნებართვა ექნებოდა მიღებული. საბჭოს თავმჯდომარემ, გიორგი კამკამიძემ, განაცხადა, რომ დაწესებულების წარმომადგენელი ხელს უშლიდა სხდომის მიმდინარეობას და არ იყო თანახმა ვიდეოგადაღებაში მონაწილეობაზე.

საბჭოს თავმჯდომარემ დამსწრე საზოგადოებას გააცნო საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები:

- შპს - ევროპის სასწავლო უნივერსიტეტის სამართლის საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია (მომხრე - 6; წინააღმდეგი - 0);
- შპს - ევროპის სასწავლო უნივერსიტეტის საერთაშორისო სამართლის საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია. (ამასთან, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს დაევალა მონიტორინგის პირობით, გადაემოწმებინა აღნიშნული პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა) (მომხრე - 4; წინააღმდეგი - 2);
- შპს - ევროპის სასწავლო უნივერსიტეტის ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია (მომხრე - 6; წინააღმდეგი - 0);
- შპს - ევროპის სასწავლო უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია (მომხრე - 6; წინააღმდეგი - 0);
- შპს - სასწავლო უნივერსიტეტ გეომედის ჯანდაცვის ეკონომიკისა და მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია (მომხრე - 6; წინააღმდეგი - 0);
- შპს - სასწავლო უნივერსიტეტ გეომედის ჯანდაცვის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია (მომხრე - 6; წინააღმდეგი - 0);
- შპს - სასწავლო უნივერსიტეტ გეომედის ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია (მომხრე - 6; წინააღმდეგი - 0);
- შპს - სასწავლო უნივერსიტეტ გეომედის ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის სამაგისტრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია (მომხრე - 5; წინააღმდეგი - 1); ამასთან, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს დაევალოს, ამდენი ხნის განმავლობაში გადაამოწმოს აღნიშნული პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა;
- შპს - სასწავლო უნივერსიტეტ გეომედის სტომატოლოგიის ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია (მომხრე - 6; წინააღმდეგი - 0);
- სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მულტილინგვური განათლების (დაწყებითი განათლების საფეხური) საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია (მომხრე - 5; წინააღმდეგი - 0);

- სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ქიმიის საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია (მომხრე - 6; წინააღმდეგი - 0);
- სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სასურსათო პროდუქტების წარმოების ინჟინერიის საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია (მომხრე - 6; წინააღმდეგი - 0);
- სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მშენებლობის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია (მომხრე - 6; წინააღმდეგი - 0);
- სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ლოჯისტიკის საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია (მომხრე - 6; წინააღმდეგი - 0);
- სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სახმელეთო სატრანსპორტო ტექნოლოგიური სამუშაოების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია (მომხრე - 6; წინააღმდეგი - 0);
- სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მეტალურგიის საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია (მომხრე - 6; წინააღმდეგი - 0);
- სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გამოთვლითი მათემატიკის ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია (მომხრე - 6; წინააღმდეგი - 0);
- სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქეოლოგიის საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია (მომხრე - 6; წინააღმდეგი - 0);
- სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამოსის დიზაინის საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია (მომხრე - 6; წინააღმდეგი - 0);

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ, 20:39 საათზე საბჭოს თავმჯდომარემ სხდომა დასრულებულად გამოაცხადა.

თავმჯდომარე
გიორგი კამკამიძე

მდივანი
ნინო დავლაშერიძე